

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ვერა გრიგორიანი

საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება
ბიზნესში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხალიანა ჩიტაძე,

ასოცირებული პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია საუკუნეებს ითვლის. ადამიანებმა ბუღალტერიის წარმოების საჭიროება ათასწლეულების წინ იგრძნეს - მაშინ, როცა კომპიუტერზე ფიქრიც კი არ იყო. ბუღალტრები ეყრდნობოდნენ ქალაქის სახელმძღვანელოებს, რათა აღებეჭდათ დავალიანება და კრედიტები, შემოსავლები და ხარჯები. ნელნელა ეს ყველაფერი გამარტივდა. კომპიუტერების გამოგონებამ გარდაქმნა ბუღალტრული აღრიცხვა XX საუკუნეში.

საბუღალტრო პროგრამა ეს არის კომპიუტერული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ბევრად უფრო სწრაფად, მარტივად, თვალსაჩინოდ და ეფექტურად შეძლოს ფინანსების აღრიცხვა. ამ ეტაპზე საქართველოში იყენებენ როგორც უცხოური წარმოების პროგრამებს, ასევე საქართველოში წარმოებულსაც. რაც დრო გადის ეს პროგრამები უფრო და უფრო იხვეწება და ხდება ამა თუ იმ ბიზნესზე მაქსიმალურად მორგებული.

სამაგისტრო ნაშრომში „საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ბიზნესში“ განხილულია ის გზა, რომელიც ბუღალტერიამ გაიარა ხელით გაკეთებული ჩანაწერებიდან კომპიუტერულ, სპეციალიზებულ პროგრამებამდე, მისი საწყისებიდან დღემდე, თუ რა როლს თამაშობს ეს პროგრამები თანამედროვე ბიზნესის სამყაროში და როგორ ასრულებენ ისინი „დაკისრებულ მოვალეობას“.

კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვლია, თუ რა მასშტაბის გამოყენება აქვს საბუღალტრო კომპიუტერულ პროგრამებს თანამედროვე ბიზნესში. კვლევის საგანი არის შემდეგის დადგენა: თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას აქტიურად აწარმოებს თუ არა საბუღალტრო პროგრამების დახმარებით. შედეგი იყო ის, რომ მხოლოდ 1.6% კვლევაში მონაწილე პირებისა მიმართავს ძველ, ხელით ჩაწერის მეთოდს, დანარჩენი 98.4% აქტიურად მოიხმარს საბუღალტრო პროგრამებს.

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულ იქნა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურა და სტატიები.

Abstract

V.Grigoriani

Usage of computer accounting softwares in business

The history of accounting started centuries ago. People felt the necessity of accounting thousands of years ago. Accountants relied on paper manuals to record debts and credits, income and expenses. Finally it all got easier. The invention of computers transformed accounting in the twentieth century.

Accounting software is a computer software that enables users to record finances much faster, easier, visually and efficiently. At this stage, foreign origin programs are used in Georgia, as well as those originated in Georgia. Day by day, these programs become more and more accurate and adaptable for each business.

The master's thesis "Usage of computer accounting softwares in business" discusses the path that accounting has taken from hand-made records to computer, specialized software. From its inception to the present day, what role do these programs play in the modern business world and how do they perform their "duty"?

The aim of the study is to determine the scale of application of accounting software in the modern business. The subject of the research is to determine whether the modern Georgian business is actively engaged in accounting with the help of accounting programs. The result was that only 1.6% of the respondents use the old method of handwriting, the remaining 98.4% of the respondents actively use accounting programs.

Both Georgian and foreign literature and articles were used during the preparation of the paper.

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორია და თანამედროვე რეგულირება საქართველოში	7
1.1 ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი და ამოცანები.....	7
1.2 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები	10
თავი II. ინოვაციის არსი ბიზნესში და საბუღალტრო კომპიუტერული აღრიცხვის დახასიათება.....	21
2.1 რა არის ინოვაცია და რა როლი აქვს მას ბიზნესში.....	21
2.2 კომპიუტერების გამოყენება, ჩანაწერების ტიპური წარმოება	25
2.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაში.....	28
თავი III საბუღალტრო პროგრამები საქართველოში.....	456
3.1 პირველი საბუღალტრო პროგრამა საქართველოში	456
3.2 ყველაზე გავრცელებული საბუღალტრო პროგრამები საქართველოში.....	48
3.3 სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა.....	52
დასკვნა და რეკომენდაციები.....	62
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.....	634

შესავალი

ცნობილია, რომ არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების სხვადასხვა მეთოდი. დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება კომპიუტერის საშუალებით, ანუ კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა. თანამედროვე ბუღალტრის მუშაობა წარმოუდგენელია კომპიუტერის გამოყენების გარეშე. კომპიუტერის მეშვეობით ბუღალტრული აღრიცხვისთვის შესაძლებელია, როგორც საკუთარი ძალებით დამუშავებული პროგრამული პროდუქტის, ისე ცნობილ საოფისე სისტემაში (როგორც არის Microsoft Excel) აგებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის გამოყენება. აგრეთვე შესაძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში სხვა მომუშავე კომპანიის მიერ დამუშავებული მზა პროგრამული პროდუქტის შექმნაც. ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ ვაწარმოოთ ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერის საშუალებით, აუცილებელია ორი სახის ცოდნის გაერთიანება: ბუღალტრული აღრიცხვის და კომპიუტერზე ბუღალტერიის წარმოების ცოდნა.¹

სამაგისტრო ნაშრომში „საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ბიზნესში“ განხილულია ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია, ევოლუცია მისი დასაბამიდან დღემდე, ასევე ტექნოლოგიური ინოვაციის მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნეს სამყაროსთვის. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელიც მყარად ამტკიცებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დღესდღეობით ბუღალტრებისთვის საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამების არსებობა, რომელია ბუღალტრების რჩეული, ყველაზე გამოყენებადი საბუღალტრო პროგრამა ქართული ბიზნესისთვის.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ დღითიდღე ბუღალტერიის, როგორც პროფესიის დაუფლება, ასევე ბუღალტრული აღრიცხვა რთულდება, რაც გამოწვეულია იმ უამრავი ძირეული საკანონმდებლო რეფორმებით, რომლებიც ჩვენს

1, მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2013 გვ.6-7

ქვეყანაში ტარდება. თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე ბუღალტრული აღრიცხვა საქართველოში ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად დაიხვეწა. აშკარაა, რომ თანამედროვე ბუღალტრები ამ ყველაფერს თავს ართმევენ და ფებს უწყობენ. ჩემთვის საინტერესო იყო ის ფაქტორები, რამაც ეს უკეთესობისკენ ცვლა გამოიწვია. ერთ-ერთი მათგანი კი სწორედ კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების გამოჩენა და განვითარებაა. თუ თავდაპირველად მხოლოდ ერთეული ასეთი პროგრამა იყო ხელმისაწვდომი ქათული ბიზნესისთვის, დღეს უკვე ათეულობით მათგანს ვითვლით. გარდა ამისა, მათზე გამუდმებული მუშაობა და დახვეწა მიმდინარეობს, რაც კონკურენციას აძლიერებს. ეს ყველაფერი კი მათი ხარისხის გაუმჯობესების პირდაპირპროპორციულია და მანიშნებელია იმისა, რომ სულ უფრო მეტი ბიზნესსუბიექტი ხდება მათი მომხმარებელი.

ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, სადაც მოხდა მასშტაბური გარდატეხა და ის თაობა, რომელიც ბუღალტერიას ისე სწავლობდა, რომ საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა მოხსენიებულ იქნა კი არ იყო სასწავლო მასალაში, დღეს სწორედ ამ საშუალებით აწარმოებს ბუღალტერიას. შესაბამისად, ნაშრომის კვლევის მიზანია გამოკვეთოს ის დადებითი მხარეები, რომლებიც კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს ახასიათებთ. ასევე, საინტერესოა იმის კვლევა, თუ რა პრობლემებს ან სირთულეებს აწყდებიან მოქმედი ბუღალტრები ამ პროგრამებთან ურთიერთობისას, ისურვებდნენ თუ არა რამე ძირეულის შეცვლას და რამდენად აკმაყოფილებთ ის ხარისხი, რომელსაც ამ პროგრამების დეველოპერები სთავაზობენ.

ნაშრომში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევის მონაწილეები მხოლოდ და მხოლოდ ბუღალტრები იყვნენ სხვადასხვა ასაკით, სქესით და გამოცდილებით. ისინი წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი თუ რა სახის კვლევაში იღებდნენ მონაწილეობას, რა იყო კვლევის მიზანი და, რა თქმა უნდა, ინფორმირებულნი იყვნენ კვლევის ანონიმურობის შესახებაც. სპეციალურად ამ კვლევითი ნაშრომისთვის შედგა ონლაინ კითხვარი, რომელთან წვდომა მხოლოდ ბუღალტრებს ჰქონდათ.

ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, კვლევის მიმოხილვის და დასკვნისგან, ხოლო ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. პირველი თავი დაეთმო ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორიას და თანამედროვე ქართულ რეგულირებას. პირველი თავის ქვეთავებში დეტალურადაა ახსნილი ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი და ამოცანები. ასევე ნახსენებია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები საქართველოში. მეორე თავში მიმოხილულია ინოვაციის არსი, მნიშვნელობა და როლი ბიზნესში. გარდა ამისა, მეორე თავში საუბარია კომპუტერების და, ზოგადად, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების როლზე ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაში. მეორე თავი მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების არსსაც. რაც შეეხება მესამე თავს, აქ უკვე უშუალოდ საუბარია საბუღალტრო პროგრამებზე, რომლებსაც საქართველოში იყენებენ. საინტერესოა ასევე პირველი პროგრამების გამოჩენის ისტორია ქართულ რეალობაში. მესამე თავი ეთმობა ყველაზე გამოყენებად, ლიდერ საბუღალტრო პროგრამებს საქართველოს ბაზარზე და მათი მახასიათებლების მიმოხილვას. ნაშრომის შემდეგ ნაწილში საუბარია სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაზე, მის მიზანზე, მეთოდოლოგიაზე და, რაც ყველაზე მთავარია, შედეგებზე. ბოლო ნაწილი კი მოიცავს დასკვნებს და რეკომენდაციებს. დანართის სახით ი წარმოდგენილია ის კითხვარი, რომელიც კვლევის მსვლელობისას იქნა გამოყენებული.

თავი I. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორია და თანამედროვე რეგულირება საქართველოში

1.1 ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი და ამოცანები

ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დამუშავებისა და გადაცემის სისტემას წარმოადგენს. იგი ენაა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია მის მომხმარებლებს გადაეცემა. მსოფლიო პრაქტიკით, ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მიზანი საბაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის ინფორმაციის მიწოდებაა. ბუღალტრული აღრიცხვა შეგროვილ და დამუშავებულ ფინანსურ ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში განაზოგადებს და მიაწოდებს მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ზოგჯერ ბუღალტრულ აღრიცხვას ანგარიშწარმოებასთან აიგივებენ, რაც ასე არ არის.

ანგარიშწარმოება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ოპერაციათა რეგისტრაციის, ინფორმაციის შენახვის მრავალგზის განმეორებადი პროცესია და ბუღალტრული აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ბუღალტრული აღრიცხვა ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, შესაბამისი საინფორმაციო სისტემის შექმნას, ინფორმაციის ანალიზს, ინტერპრეტაციებსა და განზოგადებას გულისხმობს. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებაა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ისეთი ცვლილებების ასახვა, რომელთა გამოსახვა ფულადი საზომი ერთეულით შეიძლება. ის, რაც ფულადი საზომით არ გამოისახება, ბუღალტრულ აღრიცხვას არ ექვემდებარება. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ბუღალტრული აღრიცხვა არ იყენებდეს ნატურალურ ან შრომით საზომ ერთეულებს. პირიქით, ბუღალტრული აღრიცხვა პირველ ეტაპზე სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს სწორედ აღნიშნული საზომებით ასახავს, შემდეგ კი მათ განზოგადებას ფულადი საზომის გამოყენებით ახორციელებს. ბუღალტრული აღრიცხვის თავისებურებაა ისიც, რომ იგი სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს განსაკუთრებული წესით გაფორმებული დოკუმენტების, ანუ

საბუთების საფუძველზე ასახავს. ამდენად, ბუღალტრული აღრიცხვა დოკუმენტური აღრიცხვაა.

ბუღალტრული აღრიცხვა უწყვეტია დროში. მან უნდა ასახოს ყოველგვარი სამეურნეო ცვლილება. სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი რომელიმე ცვლილების აუსახავად დატოვება დაუშვებელია. არ შეიძლება ამგვარი ცვლილებები ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახოს ერთ დღეს, და არ აისახოს მეორე, მესამე დღეს და ა. შ. აღნიშნული თავისებურებები არ ახასიათებს აღრიცხვის სხვა სახეს, მაგალითად, სტატისტიკურს. სტატისტიკური აღრიცხვა, მაგალითად, მოსახლეობის დემოგრაფიულ ცვლილებებს შეისწავლის პერიოდულად, რამდენიმე წელიწადში ერთხელაც კი. აღრიცხვის ასეთი მეთოდი ბუღალტრული აღრიცხვისათვის მიუღებელია და ამდენად, ბუღალტრული აღრიცხვა ქრონოლოგიური აღრიცხვაა.

ბუღალტრულ აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოს (ფირმის) ხელმძღვანელობისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. ბუღალტრული აღრიცხვა საწარმოს (ფირმის) სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების პირველადი დაკვირვების, ანალიზის, შეფასების, აღიარებისა და მომხმარებლებზე მიწოდების საშუალებას იძლევა. ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები უნდა იყოს სწორი, უტყუარი, დროულად ასახავდეს მეურნეობის საქმიანობაში მომხდარ ყოველგვარ სამეურნეო ცვლილებას, რომლებიც ამავე დროს, ცხადია, სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტებით უნდა დასტურდებოდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვა არის:

- საინფორმაციო სისტემა, რომელიც თავს უყრის ფინანსურ ინფორმაციას სამეურნეო სუბიექტის შესახებ;
- ეკონომიკური მონაცემების შეგროვების, შეფასების, განზოგადებისა და გაფორმების სისტემა;
- მისი მონაცემები აუცილებელია შეზღუდული რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის.

ბულალტრული აღრიცხვის ისტორია მომხიბლავი და ფერადია. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კომპანიები ხშირად ეყრდნობიან თანამედროვე პროცესებს, საქმიანი და ფინანსური ოპერაციების ადრეული ჩანაწერები თიხის ტაბლეტებზე დაიწყო. დღეს, ავტომატიზირებული ტექნოლოგია გამოიყენება მრავალ ანგარიშში, რომლებიც გადასახადია დეპარტამენტში მონაცემთა გადაღების, დამოწმების, შესაბამისობისთვის და სხვა.

ბულალტრული აღრიცხვა არის ფინანსური და საქმიანი გარიგების აღრიცხვისა და შეჯამების სისტემა. ჩანაწერების აღრიცხვა, აღრიცხვა და აღრიცხვის საშუალებები გამოიყენება იმდენ ხანს, რამდენადაც ცივილიზაციები იყვნენ ვაჭრობით. ბევრი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ წერის სისტემის შექმნის ერთ – ერთი მიზეზი სავაჭრო გარიგების დაფიქსირება იყო. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ნაწერები თიხის ტაბლეტებზე საგადასახადო აღრიცხვის ანგარიშებია. მესოპოტამიასა და ეგვიპტეში აღრიცხვის ეს პირველი მაგალითები ძვ. წ. 3300 – დან 2000 წლამდე თარიღდება.²

XI საუკუნეში შუასაუკუნეების ევროპა ფულის ეკონომიკისკენ დაიძრა. სავაჭრო ობიექტები ეყრდნობოდა აღრიცხვას, რათა გაეკონტროლებინათ საბანკო სესხებით დაფინანსებული მრავალჯერადი ერთდროული გარიგება. ინდუსტრია წინ მიიწევდა, ამკარა იყო, რომ საბულალტრო პროცედურები უნდა დახვეწილიყო უფრო მაღალი სიზუსტითვის.

1458 წელს ბენდესტო კონტრგულმა გამოიგონა ორმაგი შესვლის სააღრიცხვო სისტემა - ფართოდ განსაზღვრული, როგორც ნებისმიერი აღრიცხვის სისტემა, რომელიც გულისხმობს სავალდებულო და / ან საკრედიტო შემოსვლას გარიგებისთვის. ორმაგი შესვლის სისტემამ რევოლუციური აღრიცხვა მოახდინა. ლუკა ბარტოლომესი პასიოლომ, იტალიელმა მათემატიკოსმა და ფრანცისკანელმა ბერმა, გამოიგონა ჩანაწერების აღრიცხვა, რომელიც იყენებდა მემორანდუმს, სახელმძღვანელოს და

2. ელენე ხარაბაძე, ბულალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018, გვ.11-13

ჟურნალს. მან ასევე დაწერა მრავალი წიგნი აღრიცხვაზე. პაჩილო გახდა ცნობილი, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის და აღრიცხვაობის მამა. 1494 წელს მან დაწერა Summa de Arithmetica, Geometria, Proportioni et Proportionalita („არითმეტიკის, გეომეტრიის, პროპორციისა და პროპორციულობის შეგროვებული ცოდნა), რომელიც მოიცავდა 27 გვერდიან ტრაქტატს ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ. საუკუნეების შემდეგ, 1854 წელს, შოტლანდიაში დაარსდა პირველი პროფესიონალური ორგანიზაცია ბუღალტერების - ედინბურგის ბუღალტერთა საზოგადოებისა და გლაზგოვის ინსტიტუტის ბუღალტერთა და აქტუარიის ინსტიტუტის მიერ. ამ წევრებს შეეძლოთ საკუთარი თავის მოხსენიება, როგორც „რეგისტრირებულ ბუღალტერებად. 1887 წელს დაარსდა სერთიფიცირებული საზოგადო ბუღალტერების ინსტიტუტი.³

1.2 ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და მარეგულირებელი ორგანოები

ბუღალტრული აღრიცხვის რეგლამენტაციისათვის ყველა ქვეყანა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავებს და იყენებს აღრიცხვის საკუთარ სტანდარტებს (ნორმებს). უკანასკნელ პერიოდამდე, ჩვენთვის ცნობილი იყო და გამოიყენებოდა ბუღალტრული აღრიცხვის მხოლოდ ერთი, საბჭოური სისტემა, რომელიც შესაბამის სტანდარტებს ეყრდნობოდა. იგი საუკეთესოდ ითვლებოდა, რადგანაც მატერიალური ფასეულობების, შრომისნაყოფიერების ყოველდღიური მკაცრი კონტროლისა და უზარმაზარი ეკონომიის მიღწევის საშუალებას იძლეოდა. ბუღალტრული აღრიცხვის მომქმედი სისტემა სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ სასურველი ეკონომია მაინც არ მოგვცა. ბუღალტრული აღრიცხვის ერთადერთ მიზანს სახელმწიფო ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა და ფინანსური ინფორმაციის ერთადერთი მომხმარებელი სახელმწიფო იყო.

3. ვრცლად იხილეთ < <https://www.mediusflow.com/en/untapped/articles/people/history-of-accounting>>

ქვეყნის ეკონომიკურმა რეფორმამ, ეკონომიკაში მიმდინარე ძირეულმა გარდაქმნებმა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფა განაპირობა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.⁴

საქართველოში მოქმედი საბჭოური ბუღალტრული აღრიცხვა, სააღრიცხვო საქმიანობის ცენტრალიზებულად მართვა, უკვე აღარ აკმაყოფილებდა ქვეყნის განვითარების წინაშე დასმულ ამოცანებს. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის გარდაქმნის შესახებ. რეფორმის არსი, ბუღალტრული აღრიცხვის არა მხოლოდ ორგანიზაციულ ცვლილებებში, არამედ მისი მეთოდოლოგიის გარდაქმნაში მდგომარეობს.

ფინანსური ინფორმაცია სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც მათ დაეხმარება სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ამ ძირითადი და მეტად მნიშვნელოვანი მიზნის შესასრულებლად, იგი უნდა ეყრდნობოდეს აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს), რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულია. 1994 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მეწარმეთა შესახებ, რომლის მე-13 მუხლით განისაზღვრა აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების ზოგადი პრინციპები. ამით ფაქტიურად, პირველი ნაბიჯი გადაიდგა ჩვენს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასასვლელად და იგი გახდა საქართველოში მათი დამკვიდრების სერიოზული საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება ქვეყანაში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა წარმოებდეს. სხვადასხვა ქვეყნების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციასა და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარებასთან ერთად, აუცილებელი გახდა მომხმარებლებზე მისაწოდებელი ფინანსური ინფორმაციისადმი ერთიანი

4. ელენე ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018, გვ.23-30

მოთხოვნების შემუშავება. სწორედ ასეთმა მოთხოვნებმა ჰპოვეს ასახვა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადების შედარებით რაციონალური ნორმების ჰიბრიდს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ნორმების დეტალური შესწავლისა და ანალიზის შედეგად იქნა შერჩეული.

სხვადასხვა ქვეყნის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის ჰარმონიზაციის მიზნით 1973 წლის 29 ივნისს ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, მექსიკის, ნიდერლანდების, გაერთიანებული სამეფოს, ირლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციების შეთანხმების შედეგად, შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ).

ბასსკ-ის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობა, რომლის შემადგენლობაშია ცამეტამდე ქვეყნის წარმომადგენლები და ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებული ოთხი ორგანიზაცია. ბასსკ-ის გამგეობის შემადგენლობაში შედიან ავსტრალიის, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, ინდოეთის, იაპონიის, მალაიზიის, მექსიკის, სკანდინავიის ქვეყნების, ნიდერლანდების, სამხრეთ აფრიკის, დიდი ბრიტანეთის, აშშ და სხვა წარმომადგენლები.

ბასსკ აერთიანებს 140-მდე პროფესიული ბუღალტრული ორგანიზაციას 100-ზე მეტი ქვეყნიდან. კომიტეტის მიმართვაში ხაზგასმულია, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბასს-ის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს; იგი აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს, ამალღებს შესადაარისობის დონეს, რაც არსებით გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის წესდებაში შესწორებები იქნა შეტანილი 1982 წლის ნოემბერში, 1992 წლის ოქტომბერში, 2000 წლის მაისში, 2002 წლის მარტში და ა.შ.

2001 წელს შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (ბასსს), როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) ფონდის ნაწილი.

ბასსკ-ის ფონდის მმართველობას ახორციელებს ცხრამეტი ნდობით აღჭურვილი მეთვალყურე. ნდობით აღჭურვილ მეთვალყურეთა პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება ბასსს-ის წევრების, შესაბამისი კომიტეტებისა და მრჩეველთა ჯგუფების დანიშვნა, აგრეთვე ორგანიზაციის დაფინანსების უზრუნველყოფა. ბასსს-ს ევალება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების, კერძოდ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების, განსახილველი პროექტებისა და სხვა სადისკუსიო დოკუმენტების დამტკიცება.

ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტს წარმოადგენს თორმეტი ხმის უფლების მქონე წევრი და ხმის უფლების არმქონე თავმჯდომარე ყველა მათგანი დანიშნულია ნდობით აღჭურვილ მეთვალყურეთა მიერ.

ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის ფუნქციაა ფასს-ის ინტერპრეტაციების მომზადება და ბასსს-სათვის დასამტკიცებლად გადაცემა, ხოლო სტრუქტურულ საფუძვლებთან მიმართებით, დროული მითითებების უზრუნველყოფა ფინანსური ანგარიშგების პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც არ არის ასახული ფასს-ში. სტანდარტების მრჩეველთა საბჭოს ნიშნავს ბასსკ-ის ფონდის ნდობით აღჭურვილი მეთვალყურეები.

აღნიშნული საბჭო წარმოადგენს ოფიციალურ დამაკავშირებელ რგოლს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პიროვნებების მონაწილეობა საერთაშორისო ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებში. სტანდარტების მრჩეველთა საბჭოს დანიშნულებაა, კონსულტაციები გაუწიოს ბასსს-ს პრიორიტეტულ საკითხებსა და სტანდარტების შემუშავებასთან დაკავშირებულ ძირითადი პროექტების მომზადებაში.

ბასსს-ს მიზანია საზოგადოების ინტერესებისათვის, მსოფლიო კაპიტალის ბაზრების მონაწილეთათვის და სხვა მომხმარებლებისათვის ეკონომიკური

გადაწყვეტილებების მიღებაში დახმარების მიზნით, შექმნას მაღალი ხარისხის, გასაგები და პრაქტიკულად განხორციელებადი ბუღალტრული აღრიცხვის გლობალური სტანდარტების ერთი კომპლექტი, რომელიც მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში მაღალი ხარისხის, გამჭვირვალე და შესაძარისი ინფორმაციის ასახვას.

ბასს-ი თავის მიზნებს ძირითადად ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შემუშავებითა და გამოქვეყნებით, ხელს უწყობს ამ სტანდარტების გამოყენებას, ეხმარება მომხმარებელს ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის ინტერპრეტაციაში, ან აუმჯობესებს მომხმარებლის შესაძლებლობას, მიიღოს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებები.

ბასს გამოიყენება როგორც საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე, ისე ცალკეული საწარმოების მიერ. ბასს იღებენ ბუღალტრული აღრიცხვის საერთო სახელმწიფოებრივი ნორმების (სრულად ან ნაწილობრივ) საფუძვლად ან საერთაშორისო ნიმუშის სახით, ბუღალტრული აღრიცხვის ახალი ეროვნული ნორმების დამუშავებისათვის; ისინი გამოიყენება აგრეთვე, სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ეროვნული და უცხოური კომპანიების საქმიანობას. და ბოლოს, ბასს იყენებენ კერძო კომპანიები თვალსაჩინოების სახით ფინანსური ანგარიშგების შესადგენად.⁵

საქართველოში უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუღალტრულ აღრიცხვას დიდი ხნის ისტორია აქვს. სამეურნეო აღრიცხვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქების (ფაზისის, ვანის, ნოქალაქევის და სხვ.), ციხე-კოშკების, ეკლესია-მონასტრების, აკადემიების მშენებლობა, ასევე უძველესი კულტურის სახელმწიფოებათა ურთიერთობა (სავაჭრო, სამხედრო და სხვ.).

საქართველოში შუა საუკუნეების საკანონმდებლო საერო და საეკლესიო ძეგლებში ფართოდ არის წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის ტერმინები/ცნებები: “აღრიცხვა”, “აღწერა”, “დავთარი” და სხვ.

5. ელენე ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018, გვ.23-30

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომ სრულყოფას, დაიწყო პრესაში სამეურნეო აღრიცხვის შესახებ ცნობების გამოქვეყნება.

აღრიცხვის და ეკონომიკური ანალიზის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფ. გოგიჩაიშვილმა, რომლის რედაქციით 1903 წ. გამოვიდა “საქართველოს კალენდარი” (მასში მოცემული იყო ცნობები სახალხო მეურნეობის აღრიცხვის შესახებ). 1914 წ. დაიბეჭდა კ. კანდელაკის “ანგარიშთა და საქმეთა წარმოების” პირველი ქართული წიგნი. ქართულ ენაზე პირველი წიგნი ბუღალტრული აღრიცხვის თეორიაში დაიბეჭდა 1918 წ. “ბუღალტერიის” (დავთარწარმოების) სახელწოდებით, რომლის ავტორი იყო ს. ტარუაშვილი. იმავე წელს გამოიცა ალ. კახელაძის წიგნი “ანგარიშწარმოების მოკლე სახელმძღვანელო სამომხმარებლო კოოპერატივებში”.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო გამოსცა პროფ. ინწკირველმა 1924 წ. ბუღალტერიის ზოგადი კურსის სახელწოდებით. ბუღალტრულ აღრიცხვაში და ეკონომიკურ ანალიზში ორიგინალური და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადებას სათანადო ყურადღება ექცევა 30-იან წლებში. ამ პერიოდში მომზადდა და გამოიცა სახელმძღვანელოები და დამხმარე კურსები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანალიზში რიგი ავტორების მიერ (ა. ინწკირველი, ზ. ინწკირველი, კ. გიგინეიშვილი, ლ. ასათიანი, გ. ყუფარაძე, ა. ლანდია, ნ. ლაჭყევიანი, ლ. მამისაშვილი, ნ. დგებუაძე, გ. გურგენიძე, შ. გოგებაშვილი და სხვ.). საბუღალტრო აღრიცხვასა და ეკონომიკურ ანალიზში ინტენსიური კვლევა-ძიება 40-50-იანი წლებიდან იწყება.

ბუღალტრული აღრიცხვის პოპულარიზაციას და ამ დარგში კადრების მომზადებას დიდად შეუწყო ხელი 1899 წ. ფოთში კ. გიგინეიშვილის მიერ დაარსებულმა საბუღალტრო კურსებმა. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით 50-იან წლებამდე კადრებს ამზადებდნენ ტექნიკუმები, ხოლო უმაღლესი განათლებით კადრებს ამზადებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1954-1985 და მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტის ფაკულტეტი 1965-1985 წლებში, ამჟამად ისევ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1993 წლიდან

კვლავ მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები, აგრეთვე მის ფილიალებში, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1981 წლიდან, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის ეკონომიკური პროფილის კომერციულ (ფასიანი) უმაღლეს სასწავლებლებში. ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალისტები მზადდება ეკონომიკურ კოლეჯებშიც.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნა ბუღალტრისაგან მოითხოვს პროფესიულ ღრმა ცოდნას არამარტო ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, არამედ მეცნიერების მომიჯნავე დისციპლინებში, კერძოდ: საბაზრო ეკონომიკის, ფინანსების, სტატისტიკის, ფირმის (საწარმოს) მართვის (მენეჯმენტის), ორგანიზაციის საკითხების და სხვა. ეს საშუალებას იძლევა ბუღალტერიის მაღალკვალიფიკაციური ეროვნული კადრებით დაკომპლექტებას. ბუღალტრული აღრიცხვის რაციონალური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წინამძღვარია უფრო მარტივი, გასაგები და ეფექტიანი ფორმის შემუშავება-შერჩევა, ვინაიდან ბუღალტრული აღრიცხვის გაუმჯობესება, უწინარეს ყოვლისა. ეს არის მისი ფორმის სრულყოფა. საზოგადოებრივ წარმოების განვითარების თანამედროვე დონე და ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობის რელსებზე გადაყვანა განსაკუთრებული სიმწვავეთ მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის შემდგომ გაუმჯობესება-სრულყოფას.

ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება უმთავრესი ბერკეტია: კორუფციის, კონტრაბანდის, მიტაცება-დატაცების, გაფლანგვა-განიავების, ჩრდილოვანი ეკონომიკის, სახელმწიფოსათვის გადასახადების დამალვისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში.

ბუღალტრული აღრიცხვის როლის უგულვებელყოფამ და საგადასახადო აღრიცხვის წინა პლანზე წამოწევა გამოიწვია ის, რომ მოიშალა სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის რეალური მდგომარეობის ამსახველი ერთიანი ბერკეტი - ბუღალტრული აღრიცხვა.⁶

6. ჭიჭიკო ადვიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ეტაპები და საქართველოში მისი გაუმჯობესების პერსპექტივები - #10(58), 2004

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით 1999 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ. ამ კანონით განისაზღვრა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მარეგულირებელი ორგანოების კომპეტენციები.

კანონის თანახმად, საქართველო აღიარებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო არის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომლის კომპეტენციაა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების, წესების, შესაბამისი ინსტრუქციებისა და მითითებების შემუშავება და პრაქტიკაში დამკვიდრება.

ფინანსთა სამინისტრო თანამშრომლობს ბუღალტერთა დამოუკიდებელ პროფესიულ ორგანიზაციებთან. კერძო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების თვითრეგულირებას ახორციელებენ ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციები.

თანახმად კანონისა „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“, სააქციო საზოგადოებები ვალდებული არიან ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ საერთაშორისო სტანდარტებით 2000 წლის 1 იანვრიდან, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, კომანდიტური საზოგადოებები, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები და კოოპერატივები 2001 წლის 1 იანვრიდან. ინდივიდუალურ მეწარმეს, მცირე საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება აწარმოონ ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული (დროებითი) სტანდარტებით (მსს).

მაშასადამე, საქართველომ ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნულ სტანდარტებად აღიარა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ხოლო კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სახელმწიფო რეგულირების დელეგირება მოახდინა პროფესიულ ორგანიზაციებზე. მიუხედავად

იმისა, რომ საქართველომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში რეფორმები განახორციელა და მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების საერთაშორისო პრაქტიკას, 2005 წლისათვის, რიგი მიზეზების გამო, საჭირო გახდა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა: საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ მოითხოვდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) გამოყენებას, რომელიც 2004 წლიდან შეიცვალა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს). ასევე, აუდიტორულ ფირმებს მოეთხოვებოდათ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) გამოყენება, რომლის შესრულების მონიტორინგის განხორციელება არ ხდებოდა ხარისხის კონტროლის არ არსებობის გამო. ამ დროისათვის არსებულ მარეგულირებელ სტრუქტურებს, საქართველოს პარლამენტთან არსებულ აუდიტორული საქმიანობის საბჭოს და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიას არ გააჩნდათ სტანდარტების დანერგვის მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი. ამიტომ 2012 წლის 29 ივლისს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიიღო საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ”, რომელმაც განსაზღვრა საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სამართლებრივი საფუძვლები, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების პირობები და წესები.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ კანონის მიღების კვალობაზე, გაუქმდა საქართველოს კანონი “აუდიტორული საქმიანობის შესახებ” (07.02.1995) და საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ” (05.02.1999), ასევე, 2013 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისია. აღნიშნული კანონის რეგულაციები შეეხო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მასშტაბს, მოქმედების არიალს. კანონით განისაზღვრა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები შესდგება სახელმწიფო სექტორის

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისაგან.

“ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული იყო მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ამოქმედება 2015 წლის 1 იანვრიდან. 2016 წლის 8 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”, რომლითაც განისაზღვრა კანონის რეგულირების სფერო, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სამართლებრივი საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესი, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოთხოვნა, მმართველობის ანგარიშგების, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების, ზოგადად, ანგარიშგებების წარდგენისა და გამოქვეყნების და ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტთან დაკავშირებული რიგი საკანონმდებლო საკითხები. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი.

მაშასადამე, 2016 წლის ივლისიდან, საწარმო (სუბიექტი) ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” კანონის მოთხოვნებით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.⁷

ადრეული სისტემები და მონაცემთა ელექტრონული გაცვლა

გამომგონებლებმა დაიწყეს მანქანების შექმნა მათემატიკური გამოთვლებისთვის. 1880-იან წლებში ამერიკელმა უილიამ ბურუსმა გამოიგონა დამატების მანქანა. ადრეული დამატების აპარატებს არ გააჩნიათ ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციები, როგორცაა შიდა მეხსიერება. ამასთან, ისინი საშუალებას აძლევდნენ ბუღალტერებს განეხორციელებინათ არითმეტიკა უფრო მაღალი სიზუსტით და ეფექტურობით. ²

7, ელენე ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018, გვ.23-30

საუკუნის ბოლოსთვის ტექნოლოგია კვლავ პროგრესირებდა. ჰერმან ჰოლერიტმა შეიმუშავა პანკის ბარათის აპარატი, აშშ-ს აღწერისთვის მონაცემთა გადასაჭრელად. მანქანას შეეძლო წაეკითხა ეს ნიმუშები შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად. ჰოლერიტმა პანკის ბარათის კონცეფცია კერძო ინდუსტრიაში მიიღო. ბიზნესი იყენებდა პანკის ბარათის მანქანებს ბუღალტრული აღრიცხვისთვის 1907 წლისთვის;

ბუღალტრულმა აღრიცხვამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მომავლისკენ 1955 წელს, როდესაც კომპანიამ პირველად შეიძინა კომპიუტერი მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ბუღალტრული აღრიცხვის ისტორია ევოლუციის უწყვეტ მდგომარეობაშია, აუმჯობესებს სიზუსტეს, ოპტიმალურ ეფექტურობას მიაღწევს და უზრუნველყოფს ბიზნესისა და კომერციის ზრდას მთელ მსოფლიოში. ბუღალტრული პროცესები გამარტივებულია და ავტომატიზირებულია, რაც ბუღალტერთა გუნდს მეტ დროს აძლევს დაუთმონ ანალიზურ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. წარსულის შესწავლით, ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიონალებს შეუძლიათ ამოიცნონ და მიმართონ მიმდინარე ცვლილებებს, რაც ხდება ამ აუცილებელ ინდუსტრიაში, ამით გაზარდოს მისი ღირებულება.

1978 წელს, ბუღალტერიის სფერომ პირველად დაინახა Visicalc- ის დაბადება. ეს იყო პირველი ცხრილების პროგრამა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა კომპიუტერის ფინანსური მოდელირება. შედეგად, კომპანიებს შეეძლოთ თავიანთი აღრიცხვის კომპიუტერიზაცია ძირითადი ნაწილის შემენის ღირებულების ნაწილზე. 1998 წელს ჩაეშვა ბაზარზე პროგრამა Quickbooks. იგი მალე დომინირებდა ბაზარზე ყოველდღიურ აღრიცხვაზე. დღეს, 4.5 მილიონზე მეტი კომპანია იყენებს Quickbooks- ს, რაც მას ყველაზე პოპულარულ საბუღალტრო პროგრამად აქცევს აშშ – ში. ⁸

8. ვრცლად იხილეთ <<https://www.mediusflow.com/en/untapped/articles/people/history-of-accounting>>

თავი II. ინოვაციის არსი ბიზნესში და საბუღალტრო კომპიუტერული აღრიცხვის დახასიათება

2.1 რა არის ინოვაცია და რა როლი აქვს მას ბიზნესში

სიტყვა ინოვაციის გაგონებისას ყველას ასოციაცია უჩნდება რამე ახლის შექმნასთან, თუმცა უბრალოდ „რამე ახალი“ არ შეიძლება ინოვაციად ჩაითვალოს. ინოვაცია ეს არის რაღაც ახლებური, რომელიც გვაძლევს ღირებულ ნაყოფს. იგი შეიძლება იყოს მრავალ სფეროში, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ამ ნაშრომში არის ბიზნესისა და ტექნოლოგიური ინოვაცია. ინფორმაციული ტექნოლოგია იწვევს ინოვაციას და ინოვაცია არის ბიზნესის წარმატების გზა. ბიზნესში ინოვაცია იგივე გავლენას ახდენს, რაც ორთქლს ჰქონდა ინდუსტრიულ რევოლუციაზე.

სინამდვილეში, ძნელი წარმოსადგენია ნებისმიერი ბიზნესი, რომელმაც ციფრული რევოლუციით არ ისარგებლა. ისეთი რამ, როგორც სოფლის მეურნეობა იყენებს კომპიუტერებს. ფერმერები იყენებენ კომპიუტერებს წარმოების ჩანაწერების, ფინანსური დაგეგმვის, ტექნიკური საკითხების კვლევისა და შესყიდვებისათვის.

ეცნობიან ახალ ინფორმაციას ცხოველების მოვლასთან დაკავშირებით, ესწრებიან საერთაშორისო კონფერენციებს დისტანციურად, იწერენ ისეთ პეპარატებს, საკვებ დანამატებს და თუნდაც, საქონელს, რომელიც მათ გარშემო ა მოიპოვება და ა.შ.

დღეს ბიზნესის წარმატების ფორმულა მარტივია: ინოვაცია მართოთ ინფორმაციული ტექნოლოგიით. ინფორმაციული ტექნოლოგიის ხერხემლის გარეშე, ბიზნესი შორს ვერ წავა.

80-იან წლებში ბიზნესის წარმატებისთვის არ იყო აუცილებელი ინოვაცია. ბიზნესს შეეძლო მხოლოდ დადასტურებული ბიზნეს მოდელის დანერგვა. ეფექტურობა არ იყო მთავარი დირექტივა.

ტრადიციის მიმდევრობა ბიზნესში დარჩენის გონივრული გზა იყო. მაგალითად, მაღაზიის მფლობელი კმაყოფილი იყო სალარო აპარატის გამოყენებით, რომელიც ჯეიმს რიტის მიერ 1879 წელს გამოიგონეს.

ეს ყველაფერი შეიცვალა 1991 წლის 6 აგვისტოს, ცოტა ადამიანისთვის დასამახოვრებელი თარიღით, როდესაც World Wide Web (WWW) შექმნა ახალი ეპოქა. პლანეტის არცერთ გაზეთში ამის შესახებ ნახსენები არ ყოფილა. მსოფლიოს უმეტესობას არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ ინტერნეტი არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ტიმ ბერნერს-ლის გამოგონებამ - ინტერნეტმა შეცვალა სამყარო, ამის შესახებ ცნობილი მხოლოდ ათწლეულის ბოლოს გახდა.

ინოვაციის ზრდა შეიძლება შეინიშნოს, რომ კაცობრიობა უფრო ჭკვიანდება. ზოგადი IQ დაიწყო ამაღლება 1930-იანი წლებიდან დაიწყო: საშუალო ინტელექტის კოეფიციენტი 80 წერტილიდან 100 წერტილამდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურობასა და მულტიმედიაში ინოვაციებმა გააუმჯობესა კოლექტიური ინტელექტი, ეს იყო ძირითადად სწავლის პასიური ფორმები. დღესდღეობით კომპიუტერულმა პროგრამებმა დაიწყო აქტიური სწავლება და გააუმჯობესა ამა თუ იმ საკითხის შესწავლის ხარისხი და სიჩქარე. ინფორმაციული ტექნოლოგია ხელს უწყობს ინოვაციას ბიზნესში. ინოვაცია ქმნის ჭკვიან აპებს (პროგრამებს), მონაცემთა შენახვის გაუმჯობესებას, უფრო სწრაფად დამუშავებას და ინფორმაციის ფართო გავრცელებას. ინოვაცია ბიზნესს უფრო ეფექტურად წარმართავს. და ინოვაცია ზრდის მნიშვნელობას, ზრდის ხარისხს და ზრდის პროდუქტიულობას.

ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ ინოვაციამ გამოიწვია შემდეგი რადიკალური ცვლილებები ბიზნესში:

- ონლაინ მაღაზია უფრო ეფექტურია, ვიდრე მაღაზიაში ვაჭრობა.
- ციფრული მარკეტინგი უფრო ეფექტურია, ვიდრე ძვირადღირებული გაზეთი, ტელევიზია და რადიო რეკლამა.
- სოციალური ქსელი უფრო ეფექტურია ვიდრე კლუბებში წასვლა.
- ქსელური სისტემა უფრო ეფექტურია, ვიდრე კერძო კომპიუტერული ქსელი.

ბიზნესებმა, რომლებმაც ინოვაციური პარადიგმა მოიცვა, შემდეგი მახასიათებლები აქვთ:

- მათ აქვთ უფრო ზუსტი ბიზნესის დაგეგმვა

- მათ უფრო ეფექტური მარკეტინგი აქვთ
- მათ აქვთ უფრო მაღალი გლობალური გაყიდვები
- მათ უფრო სისტემური მენეჯმენტი აქვთ
- ისინი იყენებენ რეალურ დროში მონიტორინგს
- ისინი მომხმარებელთა მყისიერ დახმარებას გვთავაზობენ

სინამდვილეში, რთულია გრძელვადიანი ბიზნესის ზრდა, ინფორმაციული ტექნოლოგიის წნეხის გარეშე.

ბიზნესის დაჩქარებული ზრდის 5 მიზეზი

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გააუმჯობესა ბიზნესი ამ საუკუნეში შემდეგი ხუთი ძირითადი გზით:

1. ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ მისცა ბიზნესს საშუალება რთული პრობლემების გადასაჭრელად.

გაუმჯობესებულმა აპარატურამ (მეტი მეხსიერება, სწრაფი პროცესორები, მკვეთრი ვიზუალური ჩვენება და სხვ.) უფრო ჭკვიან აპლიკაციებთან ერთად (პროგრამული უზრუნველყოფა, როგორცაა კანბანდის დაფების მსგავსი თანამშრომლობითი პროგრამები, გუგლი, ვიკიპედია და ა.შ.), ორგანიზატორებს გაუადვილეს მონაცემების კვლევა, მისი ანალიზი და ა.შ. დღეს უკვე მრავალი საშუალებაა რთული პრობლემების გადასაჭრელად.

2. ინფორმაციული ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ბიზნესს უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღოს.

კარგი გადაწყვეტილებები ბიზნესში ემყარება მყარი ბაზრის კვლევას. ეს შეიძლება გაკეთდეს ჯგუფების ჩართვით, ვიდეო კონფერენციების საშუალებით, სოციალური განწყობის და ინდუსტრიის ფორუმებზე საზოგადოების განწყობის გადახედვის გზით და მომხმარებელთა უკუკავშირის მოსაპოვებლად ონლაინ გამოკითხვის გამოყენებით.

3. ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ გააუმჯობესა მარკეტინგი.

ინტერნეტ მარკეტინგი ონლაინ რეკლამირების მეთოდების გამოყენებით (SEO, PPC, Facebook რეკლამები) გაცილებით ზუსტი გზაა, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგი, სამიზნე აუდიტორიის მოძიების, მათი საჭიროებების აღმოჩენის, და მარკეტინგული კამპანიის შექმნისთვის, რათა მათ დაარწმუნონ პროდუქტის ან მომსახურების შეძენა. ძნელია იმის გარკვევა, თუ რამდენმა ადამიანმა წაიკითხა საგაზეთო რეკლამა, თუმცა ადვილია გაარკვიო, თუ რამდენმა ადამიანმა დააჭირა ონლაინ ბანერი. გარდა ამისა, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით წინასწარ შეგიძლია საკვლევი ბაზრის კატეგორიზაცია მოახდინო ლოკაციით, ასაკით, სქესით, სარწმუნოებით, შემოსავლის ოდენობით, ინტერესებით და სხვა ნიშნით. შემდეგ კი შენი სამიზნე აუდიტორიისთვის შესაფერისი სარეკლამო კამპანია წამოიწყო.

4. ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ გააუმჯობესა მომხმარებელთა დახმარების გზები;

მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა მრავალი არხის ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიის პლატფორმებით, ვებხარებით და ა.შ. გარდა ამისა, მომხმარებელთა ურთიერთობის მართვის სისტემები ეხმარება ბიზნესს, რომ გაიგონ მომხმარებელთა ქცევა, კმაყოფილების ან უკმაყოფილების დონე და ა.შ.

5. საინფორმაციო ტექნოლოგიამ გააუმჯობესა რესურსების მენეჯმენტი.

Cloud computing (ქსელის გამოყენებით წვდომის მოდელი კომპიუტერულ რესურსებზე) საშუალებას აძლევს კომპანიის თანამშრომლებს გამოიყენონ ნებისმიერი მოწყობილობა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, თავიანთი საწარმოს დონის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ნებისმიერი მონაცემთა ბაზა (შენს მიერ შექმნილი ან შენთვის ნებადართული) შეგიძლია მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შენთვის ელმისაწვდომი გახდეს დიდი ძალისხმევის გარეშე. ინოვაცია მომავლის ტალღაა. თუ ბიზნესის მიზანი მოგების გაზრდაა, მაშინ ინოვაცია არის უსრაფესი მოგების გზა. ⁹

9. The Importance of Information Technology In Business Today author BusinessVibesDecember 3, 2015

<https://www.business2community.com/tech-gadgets/importance-information-technology-business-today-01393380>

2.2 კომპიუტერების გამოყენება, ჩანაწერების ტიპური წარმოება

პირველ რიგში დავახასიათოთ საბუღალტრო ჩანაწერების წარმოება ხელით. ასეთ სისტემაში შედის:

ა) სხვადასხვა სახის საბუღალტრო წიგნები, რომელშიც აისახება პირველადი საბუღალტრო ჩანაწერები,

ბ) მთავარი წიგნი, რომელშიც თითოეული ანგარიშისათვის გახსნილია ცალკე გვერდი,

გ) სხვა საბუღალტრო წიგნები, რომელთა შორის შეიძლება ჩამოვთვალოთ დებიტორული დავალიანებების წიგნი, კრედიტორული დავალიანების წიგნი, სალაროს წიგნი და ა.შ.

როგორც ჩვენ უკვე ვიცით, ჩანაწერები შეიძლება წარმოებდეს როგორც წიგნებში, აგრეთვე ცალკეულ ბარათებზე და ცალკეულ უწყისებში.

ეხლა კი დავახასიათოთ საბუღალტრო პროგრამები. აქ ძალიან ძნელია ტიპური სისტემის დახასიათება, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს ტიპური კომპიუტერული საბუღალტრო სისტემა. შესაძლებელია, გაუკეთდეს კომპიუტერიზაცია ყველა ანგარიშს; ზოგიერთი ორგანიზაცია უკეთებს კომპიუტერიზაციას მხოლოდ ზოგიერთ ანგარიშს. მთლიანად კომპიუტერული სისტემა მუშაობს იგივე პრინციპებით, რაც ხელით, მაგრამ ყველა ჩანაწერი ინახება ერთ ადგილზე – დისკზე. თუმცა, ეს სულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბუღალტერს აქვს მათთან მუშაობის საშუალება. ეს სისტემა შეიძლება იყოს დაყოფილი სექციებად.

კომპიუტერიზირებული სისტემის სხვა განსხვავებულ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ყველა დაბეჭდილი ფორმა ძლიერ განსხვავდება ხელით მიღებული და წარმოებული ფორმებისაგან. თუ მთავარი წიგნი ხელით წარმოებულ ბუღალტერიაში წარმოადგენს “თ” ტიპის ანგარიშების ნაკრებს, კომპიუტერიზირებულ

სისტემაში ეს არის მხოლოდ დებეტებისა და კრედიტების ჩამონათვალი, მაგრამ ეს სულადაც არ ნიშნავს, რომ კომპიუტერი არ აწარმოებს ორმაგ ჩანაწერს.

ეხლა განვიხილოთ ხელითა და კომპიუტერით ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

კომპიუტერს გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- სიჩქარე – კომპიუტერი მუშაობს გაცილებით უფრო სწრაფად და შესაბამისად
- მას შეუძლია შეასრულოს გაცილებით უფრო მეტი სამუშაო,
- პროგრამები მეხსიერებაში - როგორც კი პროგრამა დაიწერება და შემოწმდება,
- შესაძლებელია მისი შესრულება მინიმალური დანახარჯებით,
- გადაწყვეტილებების მიღება – შესაძლებელია კომპიუტერის დაპროგრამება უფრო რთული გადაწყვეტილებების მისაღებად, და მას შეიძლება დაეკისროს უფრო რთული სამუშაოების შესრულება,
- ფაილების შენახვა და დამუშავება - დიდი ფაილების შენახვა შესაძლებელია მაგნიტურ მატარებლებზე. შესაძლებელია დამახსოვრებული ფაილების ხელახლა გადახედვა, განახლება და ამ ფაილებიდან ინფორმაციის მიღება.
- სიზუსტე და საიმედოობა – კომპიუტერი ყოველთვის მუშაობს ძალიან ზუსტად და საიმედოდ.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, კომპიუტერსაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები:

- აზროვნების არ არსებობა – კომპიუტერი არის მანქანა, მას არ შეუძლია განსაზღვროს პროგრამის მიერ დაშვებული შეცდომები, ან ის, რომ მონაცემები არ არის სრული. ამიტომაც კომპიუტერიზირებული სისტემის შემუშავებას უნდა დაეთმოს გაცილებით უფრო მეტი დრო, რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა გაუთვალისწინებელი მომენტი და შემოწმებულ იქნას ყველა ბრძანება. ამიტომაც, კომპიუტერული სისტემის შემუშავება არის ძვირად ღირებული და ხანგრძლივი პროცესი.

- რაოდენობრივად განსაზღვრული გადაწყვეტილებები – პროგრამას შეუძლია მიიღოს მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიხატება რაოდენობრივად. მას არ შეუძლია ჩაატაროს შეფასებითი მსჯელობები, როგორც არის თანამშრომლის შერჩევა ან იურიდიული გადაწყვეტილებების მიღება ვალების გადავადებული გადასახადების შემთხვევაში.
- საწყისი ხარჯები – აქ გვაქვს ისეთი საწყისი ხარჯები, როგორც არის აპარატურის შეძენა, პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, ადგილის მომზადება, სწავლება, რაც საკმაოდ დიდ თანხებს წარმოადგენს, და რაც მთავარია, დღეს პროგრამული უზრუნველყოფა ხშირად უფრო ძვირია ვიდრე აპარატურული.
- არასაკმარისი მოქნილობა – ჩვეულებრივ, კომპიუტერული სისტემები არის არასაკმარისად მოქნილი - კომპიუტერულ სისტემაში ცვლილებების შეტანა მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ დროსა და თანხებს, ვიდრე ხელით მუშაობის დროს.

სუსტი მხარე – რაც უფრო მეტი სამუშაო გადაეცემა კომპიუტერს, მით უფრო დამოკიდებული ხდება მისგან საწარმო. კომპიუტერის დაზიანებისა ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

კომპიუტერული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ აღინიშნოს შემდეგი დადებითი მხარეები:

- მონაცემთა დამუშავების დანახარჯების შემცირება – კომპიუტერი გვთავაზობს ასეთი ამოცანის შესრულების უფრო იაფ ხერხს, სხვა დანახარჯების შემცირება – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაცემთა დამუშავების ხარჯები არ მცირდება, მაინც ადგილი აქვს ხარჯების შემცირებას, მაგალითად, ხელმძღვანელობა დაუშვებს გაცილებით უფრო ნაკლებ შეცდომას, თუ მას გააჩნია სწორი ინფორმაცია,
- მაღალი მწარმოებლურობა – კომპიუტერი შესანიშნავად ერევა სამუშაოების მოცულობის ზრდას,
- სწრაფი დამუშავება – სამეურნეო ოპერაციები ფორმდება გაცილებით უფრო სწრაფად,

- უფრო მაღალი სიზუსტე – დაიშვება გაცილებით უფრო ნაკლები შეცდომა, ვიდრე ხელით მუშაობის დროს,
- პერსონალის არასაკმარისობა – კომპიუტერი ამცირებს ისეთ პრობლემებს, როგორც არის ოფისის თანამშრომლების არასაკმარისობა, გაუმჯობესებული კონტროლი – ფაილებზე მუდმივი კონტროლი აუმჯობესებს საერთო კონტროლს,
- კავშირის სისტემები – ტერმინალებისა და მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების გამოყენება გაცილებით აუმჯობესებს კავშირის სისტემებს,
- რაოდენობრივი მეთოდები – ხელმისაწვდომი ხდება გაცილებით უფრო მეტი რაოდენობრივი მეთოდი ხელმძღვანელობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით,
- კომპიუტერული საშუალებები – პერსონალი მუშაობა შეიძლება გაცილებით უფრო შემსუბუქდეს.

2.3 საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური ინფორმაციის დამუშავებაში

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთ ძირთად სახეობებად შეგვიძლია დავასახელოთ:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები,
- ტექსტური რედაქტირება,
- ელექტრონული ცხრილები,
- მონაცემთა ბაზების სისტემები.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები:

ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა დონეზე:

- შრომატევადი სფეროების კომპიუტერიზაცია, აქ შეიძლება აწარმოონ ისეთი სამუშაოების კომპიუტერიზაცია, როგორც არის დებიტორული დავალიანების აღრიცხვა, კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა, ხელფასის უწყისი;
- ბუღალტრული აღრიცხვის ინტეგრირებული სისტემები – ასეთი სისტემებიმოიცავს პროცესის ყველა ნაწილს და საბოლოო ჯამში იძლევა ფინანსურ ანგარიშებს.

პაკეტები გამოირჩევიან ერთმანეთისაგან. შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი სახის პაკეტები:

- სალაროს წიგნის სისტემები (ასეთი ტიპის სისტემები გამოიყენება უფრო მცირე საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ შეზღუდულ ვაჭრობას ან მომსახურებას, აწარმოებენ შესყიდვებს მცირე რაოდენობის მომწოდებლებისგან),
- ბუღალტრული წიგნების წარმოების სისტემები (აგრეთვე გამოიყენება მცირე საწარმოებში, რომლებიც აწარმოებენ გაყიდვებს ნაღდ ფულზე, სადაც შესაძლებელია ვაჭრობა კრედიტში, ტარდება საბანკო ოპერაციები) და
- ბუღალტრული ჩანაწერებისა და აღრიცხვის სისტემები (ასეთი სისტემები საჭიროა დიდი რაოდენობის კლიენტებისა და მომწოდებლების არსებობის შემთხვევაში. ასეთი ტიპის სისტემები იძლევიან საშუალებას შევადგინოთ ანგარიშ-ფაქტურები, დებიტორული დავალიანებების ანგარიშები, ვაწარმოოთ მატერიალური-სასაქონლო მარაგების კონტროლი და ა.შ.)
- ბუღალტრული აღრიცხვის მიკროკომპიუტერული სისტემები – ასეთი სისტემების მომხმარებლები არიან, როგორც წესი, ბუღალტრები და ბუღალტერიის თანამშრომლები. ასეთი პროგრამები და მონაცემები უნდა იყოს დამახსოვრებული დისკებზე. პროგრამა, როგორც წესი, მუშაობს მენიუს სისტემაში, ანუ მომხმარებელს შეუძლია ამოირჩიოს საჭირო ვარიანტები შემოთავაზებული მენიუდან. ტიპიურ მენიუში შეიძლება შედიოდეს შემდეგი ოფციები:

1. ახალი ანგარიშების გახსნა,
2. ანგარიშის რედაქტირება,

3. ოპერაციების გატარებები
4. საანგარიშგებო ფორმების სქემის შექმნა
5. საანგარიშგებო ფორმების ბეჭდვა
6. სამუშაოს დასრულება

ერთი ოფციის ამორჩევის შემთხვევაში, როგორც წესი ეკრანზე გამოდის ქვემენიუ, რომელიც აგრეთვე შედგება სხვადასხვა პუნქტებისაგან. მაგალითად, თუ ამორჩეულია პუნქტი “ახალი ანგარიშის გახსნა”, ქვე-მენიუმ შეიძლება იყოს შემდეგი ქვეპუნქტები:

1. ახალი კლიენტის ანგარიში
2. ახალი მომწოდებლის ანგარიში
3. ახალი შემოსავლის ანგარიში
4. ახალი ხარჯების ანგარიში
5. ახალი ბალანსის ანგარიში
6. დაბრუნება მთავრ მენიუმში

შეიძლება ითქვას, რომ კომპიუტერული სისტემის სტრუქტურა იგივეა, რაც ხელით წარმოების შემთხვევაში, ანუ იქმნება სხვადასხვა წიგნების სტრუქტურა და აგრეთვე მთავარი წიგნის სტრუქტურა, თითოეულ ანგარიშს ენიჭება ანგარიშის კოდი. როგორც წესი კომპიუტერული პროგრამა ისე მუშავდება, რომ ის უნდა ანსხვავებდეს ოპერაციებს:

1. ანგარიშ-ფაქტურები – გასაყიდად
2. კრედიტული ავიზო (რელიზაციისათვის)
3. შეძენის ანგარიშ-ფაქტურები

4. კრედიტული ავიზო (შეძენისათვის)

5. ხელწერილები

6. გადასახადები

7. ჟურნალები

წიგნში გატარებების შესატანად მომხმარებელი აჯგუფებს პირველად დოკუმენტებს, მაგალითად, ანგარიშ-ფაქტურებს შეძენისათვის და ღებულობს შედეგს. შემდეგ ირჩევს ოფციას “ოპერაციის შესრულება წიგნში” შესაბამისი ქვე-მენიუდან და შეაქვს თითოეული ანგარიშ-ფაქტურისათვის შემდეგი მონაცემები:

- კლიენტის ანგარიშის ნომერი
- თარიღი
- ანგარიშ-ფაქტურის ნომერი
- გაყიდული საქონლის საერთო ღირებულება.

გამოიყენება ანგარიშების ნამდვილი კოდები, მოწმდება შედეგები და გატარება სრულდება. ამის შემდეგ წარმოებს გატარება მთავარ წიგნში. უსაფთხოების ზომებად შეიძლება ჩაითვალოს პაროლები – სისტემის საწყისი ჩატვირთვისათვის და სხვადასხვა წიგნთან სამუშაოდ.

ტექსტური რედაქტორები

ტექსტურმა რედაქტორებმა მიიღეს თავისი დასახელება ტექსტების დამუშავების შესაძლებლობიდან გამომდინარე. ეს შესაძლებლობები მდგომარეობს ტექსტის შენახვის და მასთან მუშაობის უნარში კომპიუტერის ეკრანის მეშვეობით. კომპიუტერს უნდა გააჩნდეს შემდეგი მინიმალური კონფიგურაცია: მონიტორი და კლავიატურა, პროცესორი, დისკური მეხსიერება, პრინტერი.

ტექსტური რედაქტორები შემუშავდა იმ პრობლემების დასაძლევად, რომლებსაც ჰქონდათ ადგილი საბეჭდი მანქანების გამოყენებისას:

- განმეორება – ერთი და იგივე დოკუმენტის სხვადასხვა პროექტების შექმნისას საჭირო იყო ამ დოკუმენტის მრავალჯერადი გადაბეჭდვა,
- შესწორება - ტექსტის შესწორების პროცესი მოითხოვდა ბევრ დროს და შესწორებული ტექსტი ცუდად გამოიყურებოდა,
- შემოწმება – ყოველთვის, დოკუმენტის გადაბეჭდვისას საჭირო იყო მისი ხელმეორედ შემოწმება.

ყველა ეს პრობლემა გადაიჭრა ტექსტური რედაქტორების მეშვეობით.

ტექსტური რედაქტორი შეიძლება იყოს ორი ტიპის:

1. გამოიყენება მხოლოდ ტექსტური რედაქტორების სახით,
2. მიკროკომპიუტერის ტექსტური რედაქტორის პროგრამული პაკეტი.

გავრცელებული მეორე ტიპის რედაქტორები.

ტექსტური რედაქტორები ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- ტექსტის შეყვანა – ტექსტი იბეჭდება კლავიატურის საშუალებით და ჩანს მონიტორის ეკრანზე. თითოეულ დოკუმენტს აქვს თავისი სახელი და შენახვის ადგილი. შემდგომში ამ სახელის საშუალებით შესაძლებელია მისი მონახვა, მისი გამოძახება და ცვლილებების შეტანა. შეცდომების აღმოჩენის შემთხვევაში მათი შესწორება მარტივია, კურსორის გადაადგილებით და შესწორების შეტანით. უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ტექსტი ყოველთვის ისე არ გამოიყურება, როგორც ეკრანზე.
- ტექსტის შენახვა – მას მერე, რაც ტექსტი ჩანს ეკრანზე, ის ინახება დისკზე თავისი სახელით, ტექსტის შენახვის გარდა შესაძლებელია მისი დაბეჭდვა და გადამოწმება.
- დამახსოვრებული ტექსტის გამოძახება – თუ საჭიროა რაიმე მიზეზის გამო ტექსტში ცვლილებების შეტანა, ის გამოიძახება ტექსტური რედაქტორის საშუალებით და ჩნდება მონიტორის ეკრანზე.
- ტექსტის რედაქტირება – ეს ის სტადიაა, როდესაც ტექსტი მზადდება დასაბეჭდად. აქ არსებობს ორი ასპექტი: პირველ რიგში ეს არის შესწორებების შეტანა,

რომელსაც უშუალოდ უწოდებენ რედაქტირებას, მეორე ასპექტი კი მდგომარეობს ტექსტის ფორმატირებაში. ეს ნიშნავს ტექსტის ისეთ ფორმაში მოყვანას, რომელიც სასურველია ავტორისათვის. აქ იგულისხმება შემდეგი მაჩვენებლების შერჩევა: გვერდის ფორმატი, ტექსტის სიმჭიდროვე, ველების სიდიდე, ინტერვალი სტრიქონებს შორის. ტექსტური რედაქტირებისა და ფორმატირების ინსტრუქცია გამოყვანილია ეკრანზე, სადაც შესაძლებელია შედეგის ნახვა. შესაძლებელია ფორმატირების ჩატარება ეკრანზე.

ელექტრონული ცხრილები

ელექტრონული ცხრილი აისახება ეკრანზე რიგებისა და სვეტების სერიების სახით. რიგებისა და სვეტების რაოდენობა დამოკიდებულია პაკეტის ტიპზე. თანამედროვე ელექტრონულ ცხრილებს გააჩნიათ 16 000 რიგამდე და 254 სვეტამდე. სვეტებისა და რიგების კვეთაზე განთავსებულია უჯრედები, სადაც მომხმარებელს შეუძლია ჩაწეროს სხვადასხვა ინფორმაცია. შესაძლებელია სამი ტიპის ინფორმაციის შეტანა: ტექსტები, რიცხვები და ფორმულები.

როდესაც ერთი რომელიმე უჯრედის მნიშვნელობა იცვლება, მაშინ ამ ცვლილების შედეგი იმ წამსვე აისახება ყველა იმ უჯრედში, რომელიც დაკავშირებულია ამ უჯრედთან. როგორც კი ელექტრონული ცხრილის გამოყენების მოდელი შეყვანილია კომპიუტერში, შესაძლებელია მისი შენახვა დისკზე. შემდგომში შესაძლებელია მისი გამოძახება, შეცვლა და გამოყენება ახალი მონაცემებისათვის. შედეგები შეიძლება იყოს დაბეჭდილი ცხრილის სახით. ზოგიერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას შედეგი იყოს ნაჩვენები და დაბეჭდილი გრაფიკული სახით.

თუ ელექტრონული ცხრილის მოდელი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მისი მთლიანად ნახვა ეკრანზე, მაშინ ეკრანი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ფანჯარა, რომელიც შეგვიძლია გადავაადგილოთ ელექტრონული ცხრილის სხვადასხვა ადგილებში.

ელექტრონული ცხრილის დახასიათება მდგომარეობს შემდეგში:

ა) ანალიზი “თუ” – ელექტრონული ცხრილის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს შესაძლებლობა ჩატარდეს გადაანგარიშება მოდელში გამოყენებული მონაცემებისა და ფორმულების შეცვლის დროს. ხანდახან ამას აღწერენ როგორც “თუ” შესაძლებლობას, მაგალითად, რა მნიშვნელობა ექნება მოგებას, თუ რეალიზაცია გაიზრდება 20%-ით;

ბ) პირობითი ანგარიშები – შესაძლებელია გაანგარიშების ჩატარება სხვა უჯრედებიდან აღებული მნიშვნელობების საფუძველზე, მაგალითად, შესაძლებელია შემდეგი პირობის შემოღება: თუ რეალიზაცია შეადგენს 500000 ლარზე მეტს, მაშინ დანახარჯები შეადგენს 10% რეალიზაციიდან, ყველა დანარჩენ შემთხვევაში დანახარჯები შეადგენს 50000 ლარს;

გ) ცნობარი ცხრილები – მნიშვნელობა, რომელიც უნდა იყოს შეტანილი უჯრედში, შეიძლება იყოს ამორჩეული ცხრილიდან, მაგალითად, საგადასახადო განაკვეთი სხვადასხვა შემოსავლების დროს;

დ) ამონაკრების ბეჭდვა – მომხმარებელს შეუძლია განსაზღვროს მოდელის ის ნაწილი, რომელიც ბეჭდვაც სასურველია, როდესაც არ არის საჭირო მთელი მოდელის დაბეჭდვა;

ე) გრაფიკა – ზოგერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას შეიქმნას სვეტური დიაგრამები, სექტორული დიაგრამები, ფერადი დიაგრამები და ა.შ.

ვ) საჭირო შედეგის მიღწევის ფუნქცია – ზოგიერთი ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას, მოხდეს შესაძლო საწყისი მნიშვნელობების განსაზღვრა, რომლებიც მოგვცემენ სასურველ საბოლოო შედეგს.

ზ) სტატისტიკური ფუნქცია – უმრავლესობა ცხრილებისა იძლევა საშუალებას, რომ ჩატარდეს სტატისტიკური ანალიზი, ანუ შესაძლებელია ისეთი სიდიდეების

განგარიშება, როგორც არის საშუალო არითმეტიკული, ჯამი, სტანდარტული გადახრა და ა.შ.

თ) მოქნილობა – ელექტრონული ცხრილი იძლევა საშუალებას, რომ მომხმარებელმა თვითონ დააპროექტოს მოდელი: დაამატოს სვეტები და რიგები, ამოშალის სვეტები და რიგები, გადაადგილოს ისინი,

ი) მონაცემთა ბაზები - ელექტრონული ცხრილი შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც უმარტივესი მონაცემთა ბაზები. ელექტრონული ცხრილები იძლევიან საშუალებას, რომ ბიზნესის გადაწყდეს შემდეგი ტიპის ამოცანები: ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი, ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი, შემოსავლების ანგარიში, მოგების პროგნოზი, ინვენტარიზაციის შედეგების ჩაწერა, მარკეტინგული ანალიზი, რეალიზაციის პროგნოზი, საგადასახადო სეტის შედგენა,

ამ ამოცანებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ელექტრონული ცხრილი არის კომპიუტერული პაკეტი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული ბიზნესში მოდელის ასაგებად.

მონაცემთა ბაზა

მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიზნებისათვის. მონაცემთა ბაზა იდენტურია ელექტრონული საბარათო მაჩვენებლისა. თითოეულ ბარათში შედის გარკვეული ინფორმაცია, მაგალითად, კლიენტის შესახებ – ეს ინფორმაცია არის ჩანაწერი. ინფორმაციის ერთეულები (მაგ., სახელები, მისამართები და ა.შ.) - არის ველები.

მონაცემთა ბაზების უპირატესობა საბარათოსთან შედარებით მდგომარეობს შემდეგში: გაფართოების შესაძლებლობა,

ინფორმაციის მოცულობა თითოეულ ჩანაწერში შეიძლება იყოს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე საბარათო მაჩვენებელში;

განგარიშები შეიძლება ჩატარდეს ავტომატურად, მაგალითად მოგება ინვესტირებული კაპიტალიდან, ჩანაწერები შეიძლება იყოს სორტირებული, ის ჩანაწერები კი, რომელიც პასუხობს გარკვეულ კრიტერიუმებს, შეიძლება იყოს ამორჩეული ნებისმიერთანმიმდევრობით, შეიძლება მომზადდეს და დაიბეჭდოს ანგარიშები, დაფუძნებული ინფრომაციაზე.

არსებობს მონაცემთა ბაზის შექმნის სხვადასხვა ხერხები:

ბრტყელი ფაილის მონაცემთა ბაზა – წარმოადგენს ერთეული ფაილის მონაცემთა ბაზას. ყველა ჩანაწერს ასეთ მონაცემთა ბაზაში გააჩნია სტანდარტული ფორმატი. მონაცემები შეიძლება იყოს გამოძახებული, სორტირებული და განახლებული.

ნათესაობრივი მონაცემთა ბაზა – ეს ისეთი მონაცემთა ბაზაა, რომელშიც ფაილები შეიძლება იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან და შესაძლებელია მონაცემებთან დაკავშირება ნებისმიერი ფაილიდან.

პროგრამიორებადი მონაცემთა ბაზა – ეს ისეთი მონაცემთა ბაზაა, რომელსაც გააჩნია თავისი პროგრამირების ენა, რომელიც იძლევა საშუალებას მონაცემთა ბაზა მოერგოს ინდივიდუალური მოხმარებისათვის.

მონაცემთა ბაზებს გააჩნიათ დიდი შესაძლებლობები კომპიუტერების გამოყენების სფეროს გაფართოებისათვის.

მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა – იმ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საშუალებითაც მუშაობს მონაცემთა ბაზა, უწოდებენ მონაცემთა ბაზის მართვის სისტემას. მონაცემთა მართვის სისტემა ორგანიზაციას უკეთებს მონაცემთა შეყვანას მონაცემთა ბაზაში და იძლევა საშუალებას სხვადასხვა პროგრამებმა გამოიყენონ მონაცემთა ბაზა.¹⁰

10. მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2013 გვ.138-14

მონაცემთა ბაზა – ეს არის საინფორმაციო ფაილების ან მონაცემთა ფაილების ერთობლიობა, რომელიც იძლევა საშუალებას რომ მრავალმა მომხამარებელმა იმუშაოს მონაცემებთან სხვადასხვა მოთხოვნებით.¹¹

ანგარიშთა გეგმა

ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა (რეგულირებადი ანგარიშთა გეგმა) არის მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი კომპანიებსა და მათ ოპერაციებზე ზეგავლენის მქონე მოვლენათა რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი უნიფიცირებული გეგმა (სქემა).¹

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურა ერთი და იგივეა იმ ქვეყნებისთვის, სადაც ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მოქმედებს.

ქვემოთ მოცემული ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემა ანუ რეგულირებადი ანგარიშთა გეგმა შესაბამისობაში მოდის საქართველოს ეროვნულ ანგარიშთა გეგმასთან. ასევე, აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მოთხოვნებს. თანამედროვე ანგარიშთა გეგმა შედგება ორი დიდი ნაწილისაგან: აქტივი და პასივი (ვალდებულებები და კაპიტალი).

აქტივების ნაწილში შედის ორი განაყოფი: მიმდინარე აქტივები და გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულებების ნაწილში შედის შემდეგი განაყოფები: მიმდინარე ვალდებულებები, გრძელვადიანი ვალდებულებები, კაპიტალში კი - საკუთარი კაპიტალი.¹²

11. მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2013 გვ.138-144

12. ვრცლად იხილეთ <<https://www.forms.ge/angarishta>>

ცალკე შეგვიძლია დავასახელოთ შემდეგი განაყოფები: საოპერაციო შემოსავლები, საოპერაციო ხარჯები, არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები, განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები. თავის მხრივ, განაყოფებში შედის ანგარიშების ჯგუფები. ჯგუფი ფაქტიურად წარმოადგენს სინთეზურ ანგარიშს. ჯგუფებში კი არის ანალიზური ანგარიშები.

თითოეული ანგარიშის ნომერი არის ოთხნიშნა: პირველი ციფრი არის განაყოფის ნომერი, მეორე არის ჯგუფის ნომერი, მესამე და მეოთხე – ანგარიშის ნომერი ამ ჯგუფში.¹³

განვიხილოთ ანგარიშები. ანგარიშთა რეგულირებადი გეგმა მოიცავს ანგარიშების 9 ჯგუფს:

- 1 (ანგარიში 1000) მიმდინარე აქტივები
- 2 (ანგარიში 2000) გრძელვადიანი აქტივები
- 3 (ანგარიში 3000) მიმდინარე ვალდებულებები
- 4 (ანგარიში 4000) გრძელვადიანი ვალდებულებები
- 5 (ანგარიში 5000) საკუთარი კაპიტალი
- 6 (ანგარიში 6000) საოპერაციო შემოსავალი
- 7 (ანგარიში 7000) საოპერაციო ხარჯები
- 8 (ანგარიში 8000) არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები
- 9 (ანგარიში 9000) განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები

პირველი 5 ანგარიშის ჯგუფი არის მდგომარეობის ანგარიშები. ეს ჯგუფები შეადგენენ კომპანიის საბუღალტრო ბალანსის ანგარიშს.

ანგარიშთა ჯგუფები 6-დან 9-ის ჩათვლით არის საექმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშები. ეს ჯგუფები შეადგენენ შემოსავლისა და ზარალის ანგარიშებს.

მდგომარეობის ანგარიში განკუთვნილია კომპანიის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საჩვენებლად.¹⁴

13. მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2013 გვ.138-144

14. ვრცლად იხილეთ <<https://www.forms.ge/angarishta>>

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ანგარიშების საბოლოო რაოდენობა (დებეტისა და კრედიტის საბოლოო ბალანსი) წარმოადგენს საბუღალტრო ბალანსის ნაწილს.

საქმიანობის შედეგების ამსახველი ანგარიშები განკუთვნილია კომპანიის შემოსავლისა და ხარჯების საჩვენებლად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ანგარიშების წმინდა ბრუნვის (დებეტი ან კრედიტი) რაოდენობა შეადგენს მოგებისა და ზარალის ანგარიშს.

ანგარიშების საბოლოო ბალანსი (მდგომარეობის ბალანსი) შეიძლება იყოს “დებეტი”, “კრედიტი” ან “შერეული”.

დებეტის ანგარიში არის ის ანგარიში, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დებეტის საბოლოო ბალანსი. დებეტის ანგარიში არის პირველ, მე-2, მე-7, მე-8 და მე-9 ანგარიშთა ჯგუფებში მოცემული ანგარიშები (ინსტრუქციაში მოცემული გამონაკლისი შემთხვევების გარდა).

კრედიტის ანგარიში არის ის ანგარიში, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ კრედიტის საბოლოო ბალანსი. კრედიტის ანგარიშები არის ანგარიშების მე-3, მე-4 და მე-6 ჯგუფებში მოცემული ანგარიშები.

შერეული ანგარიშები არის ანგარიშები, რომლებსაც ასეთი შედეგის ქონის შემთხვევაში, შეიძლება ჰქონდეს როგორც დებეტის, ისე კრედიტის საბოლოო ბალანსი. შერეული ანგარიში არის ანგარიშთა მე-5 ჯგუფში მოცემული ანგარიში.

ანგარიშებისთვის კოდის მინიჭების ძირითადი პრინციპები რეგულირებადი ანგარიშის კოდი არის სპეციალურად განსაზღვრული და შედგება ორი ნაწილისგან ზოგადი და სპეციალური. ზოგადი და სპეციალური ნაწილები ერთმანეთისგან გამოიყოფა შემდეგი სიმბოლოებით: “.”.

ზოგადი ნაწილი შედგება პირველი 4 ციფრისგან, იგი ზოგადად აღნიშნავს რეგულირების მიზანს; შესაძლოა იგი იყოს ანგარიშთა ეროვნული გეგმის იდენტური ან იყოს რეგულირების მიზნებისთვის დადგენილი სრულიად ახალი ანგარიში.

სპეციალური ნაწილი შედგება ციფრებისგან, რომლის რაოდენობაც შეზღუდული არ არის. ყველა ციფრი არის ანგარიშის აღმნიშვნელი წინა (მარცხნივ მოცემული) ციფრის ქვეანგარიშის კოდი.

კომპანიისთვის ყველა რეგულირებადი ანგარიში სავალდებულოა, მან უნდა შეასრულოს ეს ინსტრუქციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას არ აქვს ანგარიშის მნიშვნელობის შეცვლის უფლება. კომპანიას ასევე უფლება არ აქვს შეცვალოს ან დაუმატოს ახალი ანგარიშები ამ ინსტრუქციით დადგენილ დონეზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნებართვის გარეშე. საკუთარი საჭიროებისთვის უფრო დეტალური მონაცემების აღრიცხვის მიზნით კომპანიას უფლება აქვს გახსნას ახალი ქვეანგარიშები. ახალი ქვეანგარიში უნდა მოიცავდეს ნაწილობრივ ფინანსურ ინფორმაციას მასზე მაღალი დონის ანგარიშის თაობაზე.

ანგარიში არ ექვემდებარება რეგულირებას თუ:

- ა) არ არის განსაზღვრული რომ იგი არის რეგულირებადი ანგარიში;
- ბ) არ არის რეგულირებად ანგარიშს დაქვემდებარებული ქვეანგარიში. შესაბამისად ეს ქვეანგარიშები წარმოადგენენ სავალდებულო ელემენტებს რეგულირების მიზნებიდან გამომდინარე. კომპანიას თავისუფლად შეუძლია დაადგინოს ნებისმიერი ანგარიში (ან გამოიყენოს კოდები), რომლებიც არ არის დაკავებული რეგულირებადი ანგარიშების მიერ.¹⁵

პირველ განყოფილებაში 1000 - მიმდინარე აქტივები შედის ანგარიშთა ცხრა ჯგუფი:

- 1100 – ნაღდი ფული სალაროში
- 1200 – ფული საბანკო ანგარიშზე
- 1300 – მოკლევადიანი ინვესტიციები
- 1400 – მოკლევადიანი მოთხოვნები
- 1500 – მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები
- 1600 - სასაქონლო-მატერიალური მარაგი
- 1700 - წინასწარ გაწეული ხარჯები
- 1800 - დარიცხული მოთხოვნები
- 1900 – სხვა მიმდინარე აქტივები

15. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №460 - ვებგვერდი , 24.12.2018 წ, დანართი 1

მეორე განყოფილებაში 2000 – გრძელვადიანი აქტივები შედის ანგარიშების
ექვსი ჯგუფი:²

2100 – ძირითადი საშუალებები

2200 – ძირითადი საშუალებების ცვეთა

2300 – გრძელვადიანი მოთხოვნები

2400 – გრძელვადიანი ინვესტიციები

2500 – არამატერიალური აქტივები

2600 – არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია

ანგარიშთა გეგმის მეორე ნაწილი ვალდებულებები იწყება შემდეგი
განყოფილებით: 3000 მიმდინარე ვალდებულებები - ამ განყოფილებაში არის ანგარიშების ოთხი
ჯგუფი, ესენია:

3100 – მოკლევადიანი ვალდებულებები

3200 – მოკლევადიანი სესხები

3300 – საგადასახადო ვალდებულებები

3400 – დარიცხული ვალდებულებები

შემდეგი განყოფილება 4000 – გრძელვადიანი ვალდებულებები. აქ
გაგვაჩნია ანგარიშთა 4 ჯგუფი:

4100 – გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

4200 – გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

4300 – ანარიცხები

4400 – გადავადებული შემოსავლები

შემდეგი განყოფილება არის 5000 – საკუთარი კაპიტალი. ამ განყოფილებაში
არის ანგარიშების 4 ჯგუფი:

5100 – საწესდებო კაპიტალი

5200 – პარტნიორთა კაპიტალი

5300 – მოგება/ზარალი

5400 – რეზერვები და დაფინანსება

ბალანსის შემდეგი განაყოფია 6000 – საოპერაციო შემოსავლები – აქ განიხილავენ ერთ სინთეზურ ანგარიშს:

6100 – საოპერაციო შემოსავლები

განკუთვნილია სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად. იგი გამოიყენება მზა პროდუქციისა და საქონლის გაყიდვიდან, სამუშაოს შესრულებიდან და მომსახურეობის გაწევიდან მიღებული შემოსავლების აღსარიცხავად

შემდეგი განაყოფი არის 7000 – საოპერაციო ხარჯები – მასში არის 4 სინთეზური ანგარიში:

7100 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

7200 - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

7300 - მიწოდების ხარჯები

7400 – საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

შემდეგ მოდის განაყოფი 8000 – არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები. აქ გაგვაჩნია შემდეგი სინთეზური ანგარიშები:

8100 – არასაოპერაციო შემოსავლები

8200 – არასაოპერაციო ხარჯები

ბოლო განაყოფი ანგარიშთა გეგმაში არის 9000 – განსაკუთრებული და სხვა შემოსავლები და ხარჯები – აქ გაგვაჩნია შემდეგი სინთეზური ანგარიშები:

9100 - განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები


9200 – სხვა ხარჯები¹⁶

16. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №460 - ვებგვერდი , 24.12.2018 წ, დანართი

ქვემოთ მოცემულ ილუსტრაციებზე (ილუსტრაცია 1 და ილუსტრაცია 2) კი ასახულია უშუალოდ როგორ გამოიყურება ანგარიშები საბუღალტრო პროგრამაში „ორისი. აქედან ზოგი არის ძირითადი, ზოგი კი დამატებითი ანგარიში. ამ ანგარიშებს თავის მხრივ გააჩნიათ შვილობილი ანგარიშები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და როგორც ითვალისწინებს კანონმდებლობა, მომხმარებლის სურვილის მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს მცირედი ცვლილებები. თუმცა ის ანგარიშები, რომლებიც უნივერსალურია და მოქმედებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, სავალდებულოა, რომ არ შეიცვალოს და ხელუხლებლად დარჩეს.

ანგარიში	ტიპი	დასახელება
1000	აქტ	მიმდინარე აქტივები
+ 1100	აქტ	ნაღდი ფული სალაროში
+ 1200	აქტ	ფული საბანკო ანგარიშებზე
+ 1300	აქტ	მოკლევადიანი ინვესტიციები
+ 1400	აქტ	მოკლევადიანი მოთხოვნები
+ 1500	აქტ	მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები
+ 1600	აქტ	სასაქონლო-მატერიალური მარაგი
+ 1700	აქტ	წინასწარ გაწეული ხარჯები
+ 1800	აქტ	დარინსული მოთხოვნები
+ 1900	აქტ	სხვა მიმდინარე აქტივები
2000	აქტ	გრძელვადიანი აქტივები
+ 2100	აქტ	ძირითადი საშუალებები
+ 2200	პას	ძირითადი საშუალებების მკვეთა
+ 2300	აქტ	გრძელვადიანი მოთხოვნები
+ 2400	აქტ	გრძელვადიანი ინვესტიციები
+ 2500	აქტ	არამატერიალური აქტივები
+ 2600	პას	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
3000	პას	მიმდინარე ვალდებულებები
+ 3100	პას	მოკლევადიანი ვალდებულებები
+ 3200	პას	მოკლევადიანი სესხები
+ 3300	პას	საგადასახადო ვალდებულებები
+ 3400	პას	დარინსული ვალდებულებები
4000	პას	გრძელვადიანი ვალდებულებები
+ 4100	პას	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
+ 4200	პას	გადავადებული გადასახ და სხვა გრძელვ ვალდ
+ 4300	პას	ანარინსები
+ 4400	პას	გადავადებული შემოსავალი

ილუსტრაცია 1. საბუღალტრო პროგრამაში „ორისი“ წარმოდგენილი ანგარიშთა გეგმა



პას	საკუთარი კაპიტალი
პას	საწესდებო კაპიტალი
პას	პარტნ. კაპიტ. (მეზღ. ქონ. პასუხ. არამქონე საზ.
პას	მომგება/ ზარალი
პას	რევერენები და დაფინანსება
პას	საოპერაციო შემოსავლები
პას	საოპერაციო შემოსავლები
აქტ	საოპერაციო ხარჯები
აქტ	რეალიზ. პროდ. თვითღ. (კრ. მწ. და მომს. სფ. სარ.
აქტ	რეალიზ. საქონ. თვითღ. (საპატრონო სარგებ-თვის)
აქტ	მიწოდების ხარჯები
აქტ	საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები
პას	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები
პას	არასაოპერაციო შემოსავლები
აქტ	არასაოპერაციო ხარჯები
პას	განსაკუთრებული და სხვა შემოს. და ხარჯები
პას	განსაკუთრებული შემოსავლები და ხარჯები
აქტ	სხვა ხარჯები
ა/ვ ბ	დოკუმენტები
ა/ვ ბ	საბადასახადო დოკუმენტები
ა/ვ ბ	დოკუმენტები
ა/ვ ბ	მყიდველი და მომწოდებელი ა/ფ-სთვის
ა/ვ ბ	გადასაცემი დღგ ა/ფ-სთვის
ა/ვ ბ	გადახდილი დღგ ა/ფ-სთვის

ილუსტრაცია 2. საბუღალტრო პროგრამაში „ორისი“ წარმოდგენილი ანგარიშთა გეგმა

თავი III საბუღალტრო პროგრამები საქართველოში

3.1 პირველი საბუღალტრო პროგრამა საქართველოში

დღესდღეობით, ყველაზე მოთხოვნადი და გავრცელებული საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა არის „ორისი“.

კომპანია "ორისი" დაარსდა 1992 წელს. ის ერთ-ერთი მოწინავე კომპანიაა რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაარსდა. „ორისი“, როგორც კომპანია უზრუნველყოფს სხვადასხვა კატეგორიის ორგანიზაციებისთვის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას. სწორედ ამიტომ, ის წარმოებული პროდუქტების მრავალფეროვნებით ლიდერთა პოზიციას დიდი ხანია ინარჩუნებს. ამ კომპანიის სპეციალისტების მიერ შექმნილი პროდუქტებია შემდეგი პროგრამული სისტემები :

- უნივერსალური საბუღალტრო და სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვის სისტემა - "ორის ბუღალტერია"
- საფინანსო და ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტალური სისტემა - "ორის მენეჯერი"
- საბანკო სისტემა - BankNet
- საცალო და საბითუმო ვაჭრობის სისტემა - Universe

სისტემის ძირითადი შესაძლებლობები და მომსახურება:

* მრავალი მომხმარებლის (ქსელი) ერთდროულად მუშაობა

სისტემასთან მუშაობა შეუძლია ერთდროულად რამოდენიმე მომხმარებელს. თითოეულ მათგანს შესაძლებელია განესაზღვროს გარკვეული ფუნქციები. მაგალითად, ზოგიერთი მომხმარებელი შეასრულებს მხოლოდ გატარებებს, ზოგიერთი - ხელფასის უწყისებს, ზოგი კი დააფორმირებს მხოლოდ ბალანსებს, ბარათებს, სხვადასხვა ფორმებს. შესაძლებელია ფუნქციების, როგორც გადაკვეთა, ასევე აკრძალვა.

* მრავალვალუტიანობა

სისტემაში თითოეული ანგარიში ითვლება მულტისავალუტოდ, ანუ სავალუტო ანგარიშის არსებობას განსაზღვრავს შესაბამის ანგარიშზე სავალუტო ოპერაციები. აქედან გამომდინარე შესაძლებელია მიღებულ იქნას ნაშთები, ბრუნვები, ანგარიშის ბარათები და სხვა უწყისები, როგორც თითოეული ვალუტის, ასევე ნაერთი უწყისის სახით ლარში ან სხვა ვალუტის ექვივალენტში.

* საოპერაციო და ანალიზური პერიოდის ცვლილების საშუალება

სისტემა საშუალებას იძლევა გატარებები ან ოპერაციები შესრულდეს, როგორც არჩეულ ბრუნვის პერიოდში, ასევე წარსულში და მომავალშიც. წარსული ოპერაციის შესრულება ან გასწორება იწვევს მოქმედების შესაბამისი სიდიდეების ავტომატურ გადათვლას. სამომავლო ოპერაციების შესრულება გამოყენება დაგეგმარებისა და სამომავლო ბიუჯეტის განსაზღვრისათვის.

* ანგარიშთა გეგმის გაძღოლა

სისტემას თან ახლავს საქართველოში არსებული ანგარიშთა გეგმა. მიუხედავად ამისა შესაძლებელია გახსნილი ან შესწორებული იქნას ნებისმიერი სხვა სტრუქტურის ანგარიში. ანალიზური აღრიცხვისთვის შესაძლებელია თითოეულ ანგარიშს გაეხსნას სუბანგარიშები, რომელთა ჩადგმულობის დონე მომხმარებლის მიერ განისაზღვრება და არ არის დამოკიდებული თითოეული ანგარიშის ტიპსა თუ დანიშნულებაზე.

* საბუღალტრო გატარებები (სხვა გატარებებთან დაკავშირების შესაძლებლობა)

გატარების შესასრულებლად სისტემას უნდა მიეთითოს გატარების შესრულების თარიღი, მემორიალის ნომერი, პროექტის დასახელება, სადებეტო და საკრედიტო ანგარიშები, თანხა, ვალუტა, გატარების საფუძველი, თუ საჭიროა რაოდენობა ანალიზური აღრიცხვისთვის. გატარების შესრულებასთან ერთად შესაძლებელია ნებისმიერი პირველადი დოკუმენტის დაბეჭდვა, დასაბეჭდ დოკუმენტში აუცილებელი სიდიდეების ავტომატური ჩასმით. თითოეული ეს მოქმედება ფიქსირდება გატარებების ჟურნალში, რომლის ნახვა, გაფილტვრა და ბეჭდა შესაძლებელია ბრუნვის ნებისმიერი პერიოდისათვის.

* სამეურნეო ოპერაციის და პირველადი საბუთების აღწერის შესაძლებლობები და სიმარტივე

სისტემა შეიცავს ოპერაციების აღწერის ინსტრუმენტალურ საშუალებას. ისევე როგორც გამომავალი ფორმების გენერატორი, ისიც აღჭურვილია ოპერაციების აგების პიქტოგრამული საშუალებებით (ფუნქციონალური დილაკებით), რომელთა საშუალებითაც მიიღწევა არა მარტო საბუღალტრო ოპერაციის აღწერა, არამედ ნებისმიერი ალგორითმი, რომელსაც უნდა უზრუნველყოფდეს აღსაწერი ოპერაცია. ოპერაციის აღწერაში შეიძლება გამოყენებული იქნას ციკლები და გადასვლები, ფორმულების გამოთვლები, სხვადასხვა დინამიური თუ სტატიკური ინფორმაციის განსაზღვრა და ა.შ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ოპერაციას შეიძლება დაერთოს ნებისმიერი რაოდენობის პირველადი თუ ანალიზური დოკუმენტის დინამიური ფორმირება. ეს უკანასკნელი კი ათავისუფლებს სისტემის მომხმარებელს შესასრულებელი ოპერაციის შესაბამისი ბლანკებისა და სხვა ფორმების შევსებისგან. ყოველივე ზემოთ აღწერილი მიიღწევა სპეციალიზირებული პროგრამირების ენის გამოყენების გარეშე, პიქტოგრამების გამოყენებით, ამიტომ ოპერაციებისა და ნებისმიერი დოკუმენტის აღწერა არ საჭიროებს სპეციალიზირებულ პროგრამისტულ განათლებას. ამ ფაქტორს კი მინიმუმამდე დაჰყავს საბუღალტრო ოპერაციისა და პირველადი საბუთების აღწერასთან დაკავშირებული ხარჯები.

* ძირითადი საშუალებების აღრიცხვა და მასთან დაკავშირებული ოპერაციები (ცვეთა, აფასება, ჩამოწერა)

სისტემა აღრიცხავს ძირითად საშუალებებს, რისთვისაც მიეთითება საინვენტარიზაციო ნომერი, წარმოებისა და ექსპლუატაციაში შესვლის თარიღები, საბალანსო და ნარჩენი ღირებულებები, ამორტიზაციისა და აფასების კოეფიციენტები, განყოფილება და პასუხისმგებელი თანამშრომელი და ა.შ. ამ ინფორმაციის საფუძველზე სისტემა გაძლევთ საშუალებას შეასრულოთ ცვეთის, აფასებისა და ჩამოწერის ოპერაციები, მათი შესაბამისი გატარებების ავტომატური შესრულებით.¹⁷

17. ვრცლად იხილეთ <<http://www.account.ge/article/6/>>

3.2 ყველაზე გავრცელებული საბუღალტრო პროგრამები საქართველოში

ორის მენეჯერი

ორის მენეჯერი წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის საფინანსო და მენეჯერული აღრიცხვის ERP ტიპის პროგრამულ უზრუნველყოფას. ორის მენეჯერი აერთიანებს სხვადასხვა საქმიანობის მართვას და ბუღალტრულ აღრიცხვას.

ორის მენეჯერი აერთიანებს სხვადასხვა საქმიანობის მართვას და ბუღალტრულ აღრიცხვას. იგი რეალიზებულია საფინანსო მენეჯმენტის, ბუღალტერიის, წარმოების, სასაწყობო აღრიცხვის, მარაგების, შესყიდვების, გაყიდვების, დიტრიბუციის და სხვა ბიზნეს პროცესების აღრიცხვისა და მართვის ამოცანები და მოდულები.

ორის მენეჯერთან მუშაობენ სხვადასხვა საქმიანობის საწარმოები და ორგანიზაციები:

- სავაჭრო, საცალო, საბითუმო და სადისტრიბუციო სამედიცინო, კლინიკა, აფთიაქი.
- სამრეწველო და სხვადასხვა დარგი.
- სახელმწიფო საბიუჯეტო სამინისტროები, დეპარტამენტები.
- მომასხურება და სხვადასხვა სფერო.

ორის მენეჯერთან მუშაობენ სხვადასხვა საქმიანობის საწარმოები და ორგანიზაციები.

- სავაჭრო, საცალო, საბითუმო და სადისტრიბუციო
- სამედიცინო, კლინიკა, აფთიაქი.
- სამრეწველო და სხვადასხვა დარგი.
- საბიუჯეტო სამინისტროები, დეპარტამენტები.
- მომასხურება და სხვადასხვა სფერო.¹⁸

18. ვრცლად იხილეთ <<http://oris.ge/ka/>>

ორის მარკეტი

ორის მარკეტი არის ორის მენეჯერთან დაკავშირებული საცალო და საბითუმო რეალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც განკუთვნილია მაღაზიებისა და დისტრიბუტორებისთვის. ორის მარკეტში რეალიზებულია მიწოდების, შეკვეთის, ანგარიშსწორების, საქონლის მობრუნების, საცალო გაყიდვის ოპერაციები. ორის მარკეტში შესრულებული ოპერაციები ექსპორტირდება და იგზავნება ორის მენეჯერში, ხოლო ორის მენეჯერიდან - ორის მარკეტში იმპორტირდება სასაქონლის, მომსახურებებისა და ორგანიზაციების სიები. მონაცემების ურთიერთ გაცვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფაილების გაცვლით, ასევე ელ-ფოსტითაც.

ორის მარკეტის მომხმარებელს შეუძლია ნახოს ორგანიზაციების დავალიანება, სასაქონლო ნაშთები, შემოსული და გასული თანხები და სხვა ანალიზური ინფორმაცია. ორის მარკეტი მრავალმომხმარებლიანი სისტემაა, რომელშიც შესაძლებელია თითოეულ მომხმარებელს განესაზღვროს კონკრეტული ოპერაციის შესრულების უფლებები. მუშაობენ დისტრიბუტორები და მაღაზიები.

ორის დისტრიბუტორი

ორის დისტრიბუტორი ორის მენეჯერთან დაკავშირებული დისტრიბუციის პროგრამული უზრუნველყოფაა, რომელიც განკუთვნილია დისტრიბუტორებისთვის და მუშაობს ჯიბის კომპიუტერზე.

ორის დისტრიბუტორში რეალიზებულია მიწოდების, შეკვეთის, ანგარიშსწორების, საქონლის მობრუნების ოპერაციები. ორის დისტრიბუტორში შესრულებული ოპერაციები ექსპორტირდება და იგზავნება „ორის მენეჯერში, ხოლო „ორის მენეჯერიდან – ორის დისტრიბუტორში იმპორტირდება სასაქონლის, მომსახურებებისა და ორგანიზაციების სიები. მონაცემების ურთიერთ გაცვლა შეიძლება განხორციელდეს როგორც ფაილების გაცვლით, ასევე ელფოსტითაც.¹⁹

19. ვრცლად იხილეთ <<http://www.account.ge/article/6/>>

ორის დისტრიბუტორის მომხმარებელს შეუძლია ნახოს ორგანიზაციების დავალიანება და სასაქონლო ნაშთები.

ინფო

საკმაოდ მოთხოვნადია საბუღალტრო პროგრამა "ინფო". საბუღალტრო-სასაწყობო კომპიუტერული პროგრამა "ინფო ბუღალტერი" 11 წლის წინ შეიქმნა მოსკოვში. მის შექმნას და შემდგომ განვითარებას საფუძვლად დაედო კარგად მოფიქრებული კონცეფცია. გამოცდილი მეცნიერებისა და ახალგაზრდა ნიჭიერი პროგრამისტებისაგან შემდგარმა¹ კოლექტივმა შეძლო მსოფლიოს წამყვანი კომპიუტერული ფორმების სტანდარტების დონის და ხარისხის პროგრამული პროდუქტის შექმნა. პროგრამის გაყიდვა დაიწყო 1992 წლის 12 ოქტომბერს საქართველოში ეს პროგრამა ჯერ კიდევ მისი ქართული ვერსიის შექმნამდე, 1997 წელს გამოჩნდა. ამას მოყვა შპს "იბერ ინფოს" დაბადება. დღეს ნებისმიერ მსურველს შეუძლია პროგრამის შესწავლა "იბერ ინფოში".²¹

FINA

შპს ქართული პროგრამული სისტემები საქართველოს ბაზარზეა, როგორც ერთ-ერთი დიდი პროგრამული უზრუნველყოფის ორგანიზაცია. SuperFin- საბუღალტრო აღრიცხვის სრული ავტომატიზაცია, რომლითაც სრულად და მარტივად ეწყობა ნებისმიერი ფორმის ან საწარმოს საბუღალტრო საქმიანობა. პროგრამს მრავალი წელია იყენებს როგორც მსხვილი, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები. შპს FINA დაფუძნებულია 2011 წელს და ახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას.

ფერადი ინტერფეისი და სიმარტივე. პროგრამას აქვს დემო ვერსია და არაჩვეულებრივი სალექციო კურსი რომელიც მოყვება დემო ვერსიას.²²

21. ვრცლად იხილეთ <<http://www.account.ge/article/6/>>

22. ვრცლად იხილეთ <<http://www.fina.ge/>>

FINA სთავაზობს მზა გადაწყვეტილებებს სხვადასხვა სახის ბიზნესის მართვის და ავტომატიზაციის მიზნით, როგორცაა საწყობი, მაღაზია, სუპერმარკეტი, რესტორანი, დისტრიბუცია, სასტუმრო, წარმოება. სისტემა შექმნილია საქართველოში და განკუთვნილია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებისთვის. აღსანიშნავია პროგრამის

კომპანია FINA არის ერთ-ერთი წამყვანი და სწრაფად მზარდი კომპანია, რომელიც ქმნის და სთავაზობს მომხმარებელს ბიზნესის მართვის და აღრიცხვის ეფექტურ პროგრამულ უზრუნველყოფას. FINA-ს გუნდი უკვე 8 წელია ქმნის პროგრამულ პროდუქტებს სხვადასხვა მიმართულებით, რაც ეხმარება მომხმარებლებს უკეთ და ეფექტურად მართონ ბიზნესი.²³

აპექსი

კომპანია „აპექსი“ - წარმოადგენს სპეციალისტების ჯგუფს, რომელიც 2004 წლიდან საწარმო-დაწესებულებების ავტომატიზაციის მიზნით ახორციელებს ბიზნეს პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნასა და დანერგვას. ამ კუთხით ჩვენ მიერ შეიქმნა პროგრამული უზრუნველყოფა - მართვის ავტომატიზებულ სისტემათა კომპლექსი - "აპექსი", რომელიც წარმოადგენს წარმოების, საცალო-საბითუმო ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში აღრიცხვის, ანალიზისა და მართვის მძლავრ ინსტრუმენტს. კომპანია ლიდერია სააფთიაქო ბაზარზე.²⁴

23. ვრცლად იხილეთ <<http://www.fina.ge/>>

24. ვრცლად იხილეთ <<http://www.account.ge/article/6/>>

3.3 სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევა

კვლევის მიზანია იმის გარკვევა თუ რამდენად აქტიურად იყენებენ საბუღალტრო პროგრამებს თანამედროვე ქართულ ბიზნესში და რამდენად კმაყოფილები არიან მათ მიერ არჩეული პროგრამებით.

კვლევის მეთოდი არის შერეული: რაოდენობრივი. კვლევის მონაწილეები ავსებენ ჩემს მიერ შედგენილ ონლაინ ტესტს, რომელიც შედგება როგორც დახურული, ისე ღია კითხვებისგან.

პიპოთეზა მდგომარეობდა შემდეგში: თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას აქტიურად აწარმოებს საბუღალტრო პროგრამების დამარებით.

კვლევაში მონაწილეობას იღებს ბუღალტერთა კავშირის სამოცი მოქმედი წევრი. მათი სამუშაო გამოცდილება 6 თვიდან ზემოთ მერყეობს. თითოეული მათგანი ავსებს ჩემს მიერ შედგენილ ონლაინ ტესტს. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფს, მათი ასაკი იწყება თვრამეტი წლიდან ზემოთ. ყველაზე მეტი (22 ადამიანი) 26-33 წლის ასაკობრივ კატეგორიაშია. ცდის პირთა კონფიდენციალურობა დაცულია და კვლევის შინაარსის და მიზნების შესახებ ყველა ინფორმირებულია.

კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია ონლაინ კითხვარი, რომელიც მოცემულია დანართი 1-ის სახით და თითოეულ რესპოდენტს ინდივიდუალურად გადაეგზავნა. ამით თავიდან ავიცილეთ არაკომპეტენტური პირების მონაწილეობა კვლევაში.


კვლევის შედეგები

კითხვარი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გადაეგზავნა 70 მოქმედ ბუღალტერს, თუმცა მხოლოდ 60 სრულყოფილი პასუხი მივიღეთ, 5 კითხვარი არასრულად იყო შევსებული, შესაბამისად კვლევისთვის არარელევანტური აღმოჩნდა. გამოკითხულთა უმეტესობა 48 ადამიანი (80%) მდებარეობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო (20 %) 12 ადამიანი მამრობითი სქესის (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

D1. სქესი

60 responses




რაც შეეხება ასაკს, ყველაზე დიდი კონტიგენტი 38.3% აერთიანებდა 26-33 წლის რესპოდენტებს, 21.7% - 34-41 წლოვანების შუალედს, 20 % 42-49 წლის რესპოდენტების პროცენტული მაჩვენებელია, ხოლო დანარჩენ 20%-ს თითქმის თანაბრად იყოფენ კატეგორიები : 18-25, 50-57 და 57-ზემოთ (დიაგრამა 2). უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას შეადგენენ ქალები, მათი პროცენტული რაოდენობა 70 %-ის ტოლია, ხოლო კაცების რაოდენობა - 30%-ს უტოლდება (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

D2. ასაკი

60 responses




კითხვარში მონაწილეთა უმეტესობა, 36,7%, არის დასაქმებული უკვე 6-10 წელია, 28,3 %-ს შეადგენენ 3-5 წლამდე სამუშაო გამოცდილების მქონე რესპოდენტები, 18,3%-ის გამოცდილება 11-15 წლამდე მერყეობს, 8,3%-ის ბურალტრად მუშაობა 16 სამუშაო წელს აღემატება, ხოლო დანარჩენი 8,4 %-ის სტაჟი მხოლოდ მაქსიმუმ 2 წელს ითვლის. ეს კი გვამდევს იმის საფუძველს, რომ რესპოდენტების 90%-ზე მეტი საკმაოდ კომპეტენტურია მის საქმეში და უკვე წლებია ამ საქმით არიან დაკავებულები. ეს კი კვლევის ვალიდურობაზე კარგად მეტყველებს. (დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.

D3. სამუშაო გამოცდილება ბუღალტრად

60 responses




დიაგრამა 4-ზე კი თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ის შედეგი, თუ რომელი კატეგორიის საწარმოს ბუღალტერიას აწარმოებენ კვლევის რესპოდენტი ბუღალტრები. 30 რესპოდენტი ანუ 50% მიეკუთვნება მე-4 კატეგორიის საწარმოს, 26,7% უკავია მესამე კატეგორიის საწარმოს წარმომადგენლებს, 15 % ანუ 9 რესპოდენტი წარმოადგენს მე-2

კატეგორიის საწარმოს, ხოლო რესპოდენტების მხოლოდ 8,3 % ხელმძღვანელობს პირველი კატეგორიის საწარმოს.

დიაგრამა 4.

1. რომელი კატეგორიის საწარმოს შეიკუთვნებით?

60 responses




კითხვაზე თუ „რომელი სფეროს ბუღალტერიას აწარმოებთ?“ რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ, დაეფიქსირებინათ ერთი ან ერთზე მეტი პასუხი, გამომდინარე იმ საქმიანობიდან, რომელსაც ამჟამად ეწევიან (დიაგრამა 5). ყველაზე დიდი წილი 56,7 % უკავიათ მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს. დიდად არ ჩამოუვარდება ამ მაჩვენებელს საცალო ვაჭრობის პროცენტულობა (53,3%), საბითუმო ვაჭრობით დაკავებულია რესპოდენტების 40 %, მშენებლობას აწარმოებს 18,3%, 6,7% დაკავებულია წარმოებით, ხოლო 5% და ნაკლებს იყოფენ საბიუჯეტო, ჯანდაცვის, დისტრიბუციის, სოფლის მეურნეობის და სარესტორნო სფეროს წარმომადგენლები.

დიაგრამა 5

რომელი სფეროს ბუღალტერიას აწარმოებთ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე)

60 responses




შემდეგი კითხვა (დიაგრამა 6) ამ კვლევის ყველაზე ძირითად ნაწილს უსვამს ხაზს. კვლევის ჰიპოთეზის („თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას აქტიურად აწარმოებს საბუღალტრო პროგრამების დამარებით“) დადასტურება-უარყოფის საკითხი სწორედ ამ კითხვით წყდება. 96,7% საბუღალტრო პროგრამების სასარგებლოდ მეტყველებს. 60-დან 58 რესპოდენტი ადასტურებს, რომ მოიხმარს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამას. მხოლოდ 2 რესპოდენტი აღნიშნავს, რომ მუშაობს კომპიუტერული პროგრამის გარეშე.

დიაგრამა 6. იყენებთ თუ არა რომელიმე კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამას?

(უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაწერეთ ალტერნატივა)

60 responses




საინტერესო იყო ასევე ის ფაქტი, თუ კმაყოფილების რა დონეს იწვევდა მათ მიერ არჩეული პროგრამა რესპოდენტებისთვის. კორელაცია კი ნათელია. 45% მის მიერ გამოყენებულ პროგრამას 5 ბალიანი სკალიდან უმაღლესი 5 ქულით, ხოლო 38,5% ანუ 23 რესპოდენტი 4 ქულით აფასებს. 10% (6 რესპოდენტი) ნეიტრალური რჩება და განსაკუთრებით არც კმაყოფილებას გამოთქვამს, არც უკმაყოფილებას, ხოლო მხოლოდ 4 რესპოდენტი 1 და 2 ქულით აფასებს მის სამუშაო პროგრამას (დიაგრამა 7).

დიაგრამა 7.

რამდენად კმაყოფილი ხართ იმ საბუღალტრო პროგრამით რომელშიც მუშაობთ?

60 responses




თუ შევხედავთ დიაგრამა 8-ს, ნათლად ჩანს, რომ მოქმედი ბუღალტრების რჩეული პროგრამა ორისია. მას კვლევის მონაწილეთა ნახევარი, 30 ადამიანი იყენებს. მეორე ადგილს იკავებს ფინა, მესამე პოზიციას კი FMG APEX იყოფენ. კითხვარის შემდეგი კითხვა კი ღია კითხვა იყო და რესპოდენტებს მათი პროგრამის შეფასებას სთხოვდა. იმის გამო, რომ ორისს ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს საინტერესო იყო თუ როგორ აფასებდნენ მას. რესპოდენტები საკუთარ არჩევანს ამყარებენ შემდეგი არგუმენტებით: „მარტივია“, „იდეალურად ერგება ყველა ორგანიზაციას“, „იძლევა ბევრი ოპერაციის გაკეთების საშუალებას“, „დიდ დროს მაგებიანებს“, მოქნილი საადრიცხვო სისტემით გამოირჩევა“, „კომფორტულია მასში მუშაობა“... მხოლოდ ერთი

რესპოდენტი გამოხატავს უკმაყოფილებას და ამბობს, რომ უკეთესი პროგრამის შექმნის საშუალება ორგანიზაციას არ აქვს.

დიაგრამა 8.

რომელ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობთ?

60 responses




კვლევის ფარგლებში, რესპოდენტების სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, არ არის გასაკვირი, რომ მათ 50%-ს უმუშავია საბუღალტრო პროგრამის გარეშე, რაზეც დიაგრამა 9 მიგვითითებს.

დიაგრამა 9

გიწარმოებიათ თუ არა ბუღალტერია საბუღალტრო პროგრამის გარეშე?
(დადებითი პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

60 responses




ხოლო თუ დიაგრამა 10-ს დავაკვირდებით ვნახავთ, რომ 40%-ისთვის ანუ 24 რესპოდენტისთვის ხელით გაკეთებული ჩანაწერებით მუშაობა არ გამოირიცხავდა იმას, რომ ბუღალტერია ეწარმოებინათ ხარისხიანად. ისინი პროგრამამდელ მუშაობას ნეტრალურად აფასებენ, არც განსაკუთრებით უხარისხოდ, არც განსაკუთრებით ხარისხიანად. თუმცა დანარჩენი 25 რესპოდენტი (41.6%), რაც გამოკითხულთა უმეტესობაა, ხელით ჩანაწერებით მუშაობის მეთოდს უხარისხოდ თვლის. 2 ქულით ანუ თითქმის სრულყოფილად შეაფასა გამოკითხულთა 10%-მა, რაც 6 რესპოდენტს უდრის და მხოლოდ 5 ბუღალტერი თვლის, რომ კომპიუტერული პროგრამის გარეშე წარმოებული ბუღალტერია ბოლომდე სრულყოფილი იყო.

დიაგრამა 10

თქვენი აზრით, რამდენად სრულყოფილი იყო კომპიუტერული პროგრამის გარეშე წარმოებული ბუღალტერია?

60 responses



რესპოდენტებს ერთ-ერთ კითხვად ჰქონდათ შემდეგი: „ყველაზე დიდი კომფორტი, რომელიც საბუღალტო პროგრამის წყალობით გაქვთ და არ გქონდათ ხელით ჩაწერისას არის...“ .


დიაგრამა 11-ზე მოცემულია მათი პასუხები. უმეტესობა ანუ 70% ყველაზე დიდ კომფორტად მიიჩნევს ამ პროგრამების დამარებით ოპერაციის შესრულების სისწრაფეს.

65%-ისთვის ეს კომფორტი თვალსაჩინოებაში გამოისახება. ასევე, კომფორტთან ასოცირდება ის ფაქტი, რომ პროგრამა გვაძლევს ოპერატიულობის საშუალებას, აქვს გამარტივებული სააღრიცხვო სისტემა და აქვს უშუალო კავშირი ბანკებთან და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდთან.

დიაგრამა 11.

ყველაზე დიდი კომფორტი, რომელიც საბუღალტრო პროგრამის წყალობით გაქვთ და არ გქონდათ ხელით ჩაწერისას არის (შეგიძლიათ მონიშნოთ სასურველი რაოდენობა):

60 responses




საინტერესო იყო ის ფაქტი, თუ რამდენად ოპერატიულად ხდება პროგრამების განახლება ქვეყანაში არსებული საგადასახადო ცვლილებების ფონზე. რესპოდენტების 52.5% 5-დან 5 ქულით აფასებს განახლებების სისწრაფეს, 27.1% ხუთიდან ოთხ ქულას უწერს მის პროგრამას, 8.5% ნეიტრალურ პოზიციას იკავებს და 3 ქულით აფასებს, 10,2% აღნიშნავს, რომ არ ხდება ოპერატიულად მათი პროგრამების განახლება, ხოლო 1,7% ძალიან უკმაყოფილოა ამ მხრივ მისი არჩეული პროგრამისა (დიაგრამა 12).

დიაგრამა 12

რამდენად ოპერატიულად ხდება თქვენი პროგრამის განახლება ქვეყანაში არსებული საგადასახადო ცვლილებების ფონზე? (მაგალითად, საპენსიო ანარიცხები)

59 responses



იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად გულწფელები იყვნენ რესპოდენტები მათი არჩეული პროგრამის შეფასებისას, ბოლო კითხვა მდგომარეობდა შემდეგში, თუ რომელ პროგრამაზე შეაჩერებდნენ არჩევანს თავიდან შეძენის შემთხვევაში. ამ კითხვაზე მხოლოდ 18 რესპოდენტის პასუხი მივიღე, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დანარჩენი 42 რესპოდენტი არ შეცვლიდა საკუთარ პროგრამას. ხოლო ამ 18 პასუხში ისევ ორისი, ფინანსური და აპექსი ლიდერობდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის მიღებული შედეგების ანალიზით მთავარ საკითხს, თუ რამდენად აქტიურად აქტიურად აწარმოებს თანამედროვე ქართული ბიზნესი ბუღალტერიას

კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების დამარებით., პასუხი გაეცა. რესპოდენტთა 96,7 % აქტიურად მოიხმარს კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს.

გამოკითხულთა უმეტესობა კმაყოფილებას გამოხატავს მათი არჩეული პროგრამით და თვლის, რომ ამ პროგრამების გარეშე დღესდღეობით ბუღალტერიის წარმოება გაუჭირდებოდა მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტების ნახევარს მაინც პროგრამების გარეშე მუშაობის გამოცდილებაც აქვთ და ეს მათთვის უცხო არ იქნებოდა. რესპოდენტების ნახევარზე მეტი კმაყოფილებას გამოხატავს იმით, რომ სხვადასხვა საგადასახადო ცვლილებებს პროგრამის დეველოპერები ფეხს უწყობენ და უმარტივებენ მუშაობას. (ერთ-ერთი ასეთი ცვლილება ეხებოდა ხელფასების დარიცხვის ახლებურ მეთოდს, რომელიც საპენსიო სისტემის დანერგვასთან იყო დაკავშირებული.) ეს კი უპირობოდ მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ეს თემა ძალიან აქტუალურია და კონკურენციაც ამ სფეროში საკმაოდ დიდია. საბუღალტრო პროგრამის დეველოპერებს და მარკეტოლოგებს დიდი შრომა უწევთ იმისთვის, რომ არსებული მომხმარებლები შეინარჩუნონ, სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები დააინტერესონ და მათი პროგრამის დადებითი მხარეები უკეთ დაანახონ. ასევე, ხარვეზები გამოასწორონ. თავის მხრივ, როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილი ბიზნესის მფლობელები ცდილობენ მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტური გზები მოძებნონ, რათა მაქსიმალურად კარგად განკარგონ საკუთარი ბიზნესი. ბევრ მსხვილ ბიზნესს საკუთარ ბიზნესზე მორგებული საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა აქვს შექმნილი, რომელიც ამ კონკრეტული ბიზნესის ინტერესებიდან, სპეციფიკიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

კვლევამ, ასევე, კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა „ორისი“ ლიდერია ქართულ ბაზარზე. კვლევის მონაწილეებმა, რომლებმაც მიუთითეს, რომ ამ პროგრამაში აწარმოებდნენ ბუღალტერიას, ახალი პროგრამის შექმნის შემთხვევაში ისევ ორისს აირჩევდნენ, რაც მათ კმაყოფილებაზე მიუთითებს პროგრამის მიმართ.

ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ყველა იმ სუბიექტის უდიდესი ინტერესის საგანი, რომლებსაც აქვთ კავშირი წარმოებასთან, მომსახურებასთან, საკუთრების მართვასთან, დაფინანსებასთან, ინვესტიციებთან. ყოველი მათგანისათვის საჭიროა „ბიზნესის საერთაშორისო ენის“ - ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა. მას აქვს უნარი

იმოქმედოს როგორც ინფორმაციული სისტემა. მისი სამიზნეა ბიზნესის მონაცემთა დამუშავება, ეს კი გადაწყვეტილების მიმღებს საშუალებას აძლევს თვალნათლივ შეაფასოს მის დაქვემდებარებაში მყოფი ბიზნესის ეფექტურობა, დაინახოს ხარვეზები და აღმოაჩინოს შეცდომები. პოპულარული შვეიცარიელი ეკონომისტის იოჰან შერის სიტყვების ციტირებას თუ მოვახდენთ, ის ამბობს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვა ეს არის ყოველი საწარმოს წარსულის შეუცდომელი მსაჯული, აწმყოს უკონკურენტო ხელმძღვანელი, ხოლო მომავლის კეთილსინდისიერი მრჩეველი“. სწორედ ამიტომ, ბიზნესის მფლობელების პირდაპირ ინტერესშია ეფექტური გზის გამონახვა, რათა ბუღალტრული აღრიცხვა მაქსიმალურად სრულყოფილი იყოს. ეს ფაქტორი კი ერთ-ერთი გარანტია წარმატებული ბიზნესისა.

კვლევა ჩატარდა ინტერნეტის საშუალებით. შესაბამისად, შესაძლოა ისეთი პოტენციური რესპოდენტებიც არსებობდნენ, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა და სწორედ ამიტომ ვერ მიიღეს კითხვარში მონაწილეობა. ამასთან ერთად, შესაძლოა ისინი საერთოდ არ იყენებენ კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს და საინტერესო იქნოდა მათი განსხვავებული აზრის და გამოცდილების გაზიარება. ეს კვლევა ძირითადად არ მოიცავს თვისებრივ მონაცემებს და სამომავლოდ შესაძლებელია ამ კვლევის შედეგების გამრავალფეროვნება თვისებრივი მონაცემების შეგროვებით. საინტერესო იქნებოდა ფოკუს-ჯგუფების გაკეთებაც, სადაც რესპოდენტები სხვადასხვა სამუშაო გამოცდილებით და მოსაზრებებით გააზიარებდნენ კვლევისთვის საინტერესო ფაქტებს.

კარგი იქნებოდა, თუ მომავალში ჩატარებული კვლევა გაითვალისწინებდა ზემოაღნიშნულ რეკომენდაციებს და კვლევისათვის კითხვარის შედგენა და რესპოდენტების შერჩევა უფრო მრავალფეროვანი მეთოდებით მოხდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი 2018 გვ.23-30

2. მ. თევდორაძე, ნ. ლოლაშვილი, კომპიუტერული ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2013 გვ.138-144

3. საბუღალტრო პროგრამები 5 მაისი, 2015
<http://www.account.ge/article/6/>

4. ჭ. ადეიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის განვითარების ეტაპები და საქართველოში მისი გაუმჯობესების პერსპექტივები - #10(58), 2004

5. The Importance of Information Technology In Business Today author BusinessVibes December 3, 2015
<https://www.business2community.com/tech-gadgets/importance-information-technology-business-today-01393380>

6. Nazi Gvaramia. THE ISSUES OF ACTIVITY ACCOUNTING AND AUDIT REGULATION IN GEORGIA. ECONOMICS AND MANAGEMENT: 2013. 18 (4) ISSN 2029-9338 (ONLINE). Kaunas, Lithuania

7. <https://www.mediusflow.com/en/untapped/articles/people/history-of-accounting>

8. <http://treasury.ge/ViewFile.aspx?Id=452>

9. Проф. Н. К. Леонтьев, доц. Кежолв, доц. Е. А. Шенков. Краткий курс бухгалтерского учета, М., 1938 г. стр. 147

დანართი 1

კითხვარი

1. D1. სქესი

- მდედრობითი
- მამრობითი

2. D2. ასაკი

- 18-25
- 26-33
- 34-41
- 42-49
- 50-57
- 57-ზემოთ

3. D3. სამუშაო გამოცდილება ბულალტრად

- 0.5-2
- 3-5
- 6-10
- 11-15
- 16-ზემოთ

4. რომელი კატეგორიის საწარმოს მეიკუთვნებით?

- I
- II
- III
- IV

5. რომელი სფეროს ბულალტერიას აწარმოებთ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე)

- საცალო ვაჭრობის
- საბითუმო ვაჭრობის
- მშენებლობის

- საბიუჯეტო
- ჯანდაცვის
- მომსახურების
- სხვა: _____

6. იყენებთ თუ არა რომელიმე კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამას?
(უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ჩაწერეთ ალტერნატივა)

- დიახ
- არა
- _____

7. რამდენად კმაყოფილი ხართ იმ საბუღალტრო პროგრამით რომელშიც მუშაობთ?

1. ძალიან უკმაყოფილო

5. ძალიან კმაყოფილი

1	2	3	4	5
---	---	---	---	---

8. რომელ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობთ?

- ორისი
- ფინა
- აპექსი

o 1C

o ბალანსი

o სხვა: _____

9. მე მომწონს ჩემი პროგრამა, რადგან

10. მე არ მომწონს ჩემი პროგრამა, რადგან

11. გიწარმოებიათ თუ არა ბუღალტერია საბუღალტრო პროგრამის გარეშე? (დადებითი პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

დიახ

არა

12. თქვენი აზრით, რამდენად სრულყოფილი იყო კომპიუტერული პროგრამის გარეშე წარმოებული ბუღალტერია?

1. ძალიან უხარისხო

5. სრულყოფილი

1	2	3	4	5
---	---	---	---	---

13. ყველაზე დიდი კომფორტი, რომელიც საბუღალტრო პროგრამის წყალობით გაქვთ და არ გქონდათ ხელით ჩაწერისას არის (შეგიძლიათ მონიშნოთ სასურველი რაოდენობა):

- მამლევს ბევრი ოპერაციების გაკეთების საშუალებას
- ოპერაციის შესრულების სისწრაფე
- ოპერატიულობა
- გამარტივებული სააღრიცხვო სისტემა
- მეტი თვალსაჩინოება
- პროგრამის უშუალო კავშირი ბაკნებთან და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდთან
- სხვა

14. რამდენად ოპერატიულად ხდება თქვენი პროგრამის განახლება ქვეყანაში არსებული საგადასახადო ცვლილებების ფონზე? (მაგალითად, საპენსიო ანარიცხები)

1. არ ხდება პროგრამის

5. ვითარდება

განახლება

ოპერატიულად

1	2	3	4	5
---	---	---	---	---

15. იმ შემთხვევაში, თუ არ სარგებლობთ საბუღალტრო პროგრამით, შეძენის შემთხვევაში რომელ პროგრამაზე შეაჩერებდით არჩევანს და რატომ?
